ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ლანჩხუთში 25 წლის ნ.ქ.-მ ბათუმში ავარიის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო



გვ.6

1 მაისიდან

ალექსანდრე დიუმა

კავკასია

„მე მიყვარს კითხვა“




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ოთხშაბათი, 1 მაისი, 2019 №101 (8055) ფასი: 60 თეთრი

# „დავითგარეჯზე აზერბაიჯანის მხრიდან დავა ზღვარს გადასული თავხედობაა“



გვ.3

„საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ისევე უნდა დაიცვან დავითგარეჯი საქართველოს შემადგენლობაში, როგორც თავიანთ ტერიტორიებს იცავენ“

## გედევან ფოფხაძე: „პარლამენტში არანაირი თავისუფალი კენჭისყრა არ არის“



გვ.3

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა სიმცირის არგუმენტით თუ ჩინჩალაძე-მურუსიძე და მისი კლანი იქნებიან არჩეული, მაშინ, რასაკვირველია, პარლამენტი ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა

## გახარია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი გახდა



მთავრობის მეთაურის ბრძანებით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია ვიცეპრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას დაეკისრა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მთავრობის ადმინისტრაციიდან აცნობეს.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით, პირველ მაისს, 12:00 საათზე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პირველი სხდომა გაიმართება.

მთავრობის მეთაურის ბრძანებით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია ვიცეპრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას დაეკისრა.

ბრძანება პრემიერ-მინისტრმა „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 8-წევრიან სათათბირო ორგანოს წარმოადგენს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. საბჭოს მუდმივი წევრები არიან შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელები და თავდაცვის ძალების მეთაური. საბჭო აღჭურვილია სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მანდატით“, – აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



გვ.2

## წელს ემიგრანტთა რაოდენობა 15.8%-ით გაიზარდა



გვ.4

## მირიან მირიანაშვილი: „რუსეთი აიძულეს, პანკისისა და გარეჯის სცენარები შეეჩერებინა“

რას გადაურჩა საქართველო?

**სამართალი** გვ.6




## გორში შუახნის ქალი ექვსიანობის გამო ქალებმა ცემეს



## ნათია აჭარის ტელევიზიას სასამართლოში უჩივის



## იტალიაში სალექი რეზინის მოპარვისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს



## საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს

**ეკონომიკა** გვ.5

## ნათია თურნავა: „ქართული წარმოების მხარდასაჭერად ენერგეტიკული ბაზრის რეფორმის ახალ ეტაპს ვიწყებთ“



## მახათას მთაზე ქართველი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის ახალი უბნის მშენებლობა იწყება



## ირაკლი ლექვინაძე: „ხშირად რეგულაციები ბიზნესის შესაძლებლობებს აცდენილია“



ISSN 1987-9385

2 „აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საწარმოების ბრუნვა გაიზარდა, სამშენებლო პროექტების მოცულობა შემცირდა“

5 „ნორმალურად რომ იცხოვროს მოსახლეობამ და სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემები მოგვარდეს, 4,7%-ით ზრდა სრულიად არ არის საკმარისი“

6 3 ავარია გორში
1 ადამიანი დაიღუპა, 9 დაშავდა

8 ლუკაშენკოს დაცვის ყოფილი უფროსი დააპატიმრეს

# წელს ემიგრანტთა რაოდენობა 15.8%-ით გაიზარდა

## საქართველოს მთავრობამ ბიზნესთან და ევროკავშირთან ერთად გარკვეული პროგრამები უნდა შეიმუშაოს, სადაც შესაბამისად მომზადებული ადამიანები სეზონურად დასაქმდებიან

იაგო ნაცვლიშვილი



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2018 წელს ემიგრანტების რიცხოვნობა 98.935 ადამიანით განისაზღვრა და, წინა წელთან შედარებით, 15.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმიგრანტების რაოდენობა 5.9 პროცენტით და მან 88.152 მოქალაქე შეადგინა. ამის პარალელურად დროდადრო ჩნდება ინფორმაცია, რომ საქართველოს შესაძლოა შეუჩერდეს ვიზალიბერალიზაცია. შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი შესაძლოა გახდეს სწორედ მიგრანტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა.

რას უკავშირდება ემიგრანტების ზრდა, რამდენად თანმიმდევრულია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა და ხომ არ არსებობს იმის რისკი, რომ თუნდაც ამ მიზეზით საქართველოს ვიზალიბერალიზაცია შეუჩერდეს? – ამ საკითხებზე საქართველოს მეოთხე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში **ვანო მაჭავარიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

***– წინა წელთან შედარებით, ემიგრანტთა რაოდენობა 15.8%-ით არის გაზრდილი. თქვენ რას უკავშირებთ ამას? ეს უკავშირდება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, პოლიტიკურ ვითარებას თუ სხვა ფაქტორით უნდა აიხსნას?***

– ცხადია, ეს მოსალოდნელი იყო. ხელისუფლებას თადარიგი უნდა დაეჭირა. ეს სიურპრიზი არ უნდა იყოს არც საქართველოს ხელისუფლებისთვის და არც მოსახლეობისთვის. ფაქტია, რომ ძალიან რთული სოციალური ვითარებაა, განსაკუთრებით რეგიონებში. ყველამ ვერ მოახერხა, რომ თავისი ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა გამოესწორებინა. ფაქტია, ვიზალიბერალიზაციასთან ერთად ევროპაში წასვლის შესაძლებლობა გააჩინა. ევროპაში გადაადგილების გამარტივებამ გამოიწვია ადამიანთა გადინება, რომელთაც ჰყავთ ნათესავები მეგობრები თუ სხვა. მათ ექნებოდათ კომუნიკაცია ევროპაში მყოფ ახლობლებთან და მიაწვდიდნენ ინფორმაციას, რომ ასე თუ ისე ევროპაში დაფუძნების შესაძლებლობა არის იმისათვის, რომ იშოვონ სამსახური. მათთვის არ იყო მნიშვნელოვანი, ეს წასვლა არალეგალურია თუ ლეგალური. მიაჩნიათ, რომ თავიანთ ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებენ.

არის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური მიკერძოების გამო ვერ შოულობს სამსახურს, ვერ იწყებს ბიზნესს, გარკვეულწილად შეზღუდული უფლებები აქვს და, ცხადია, განსაკუთრებით რეგიონებში აისახება ეს, სადაც ქართული ოცნების აქტივისტებს მიაჩნიათ, რომ თავისიანები აიყვანონ, რათა შემდგომში არჩევნებისთვის მოიხმარონ ეს ხალხი. ეს არის კომპლექსური საკითხები. ვისაც ოდნავ მაინც შეხება აქვს რეგიონებთან, საშუალო და მცირე ზომის ქალაქებთან, ალბათ ძნელია, არ დამეთანხმონ, რომ ეს არის კომბინირებული. როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, რაც ადამიანების დასაქმების, ბიზნესისა თუ სხვა საქმიანობის შედეგად აისახება საქართველოში. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებას და ესეც ახდენს გავლენას.

***– ანუ რა გამოდის ხელისუფლებაში არსებულმა ნეპოტიზმმა და მისმა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ ეს შედეგი გამოიღო? ვგულისხმობ იმას, რომ როდესაც ვიზალიბერალიზაციაზე მიდიოდა საუბარი, მაშინ მისი წინა პროცესები იყო ვაჭრობისა თუ ასოციაციის ხელშეკრულება, რასაც ცვლილებები უნდა მოეტანა. დღეს ეს არ იყო გამოყენებული და ამის შედეგია ეს ვითარება?***

– ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა. თუ დააკვირდებით, იქნება ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფინანსური და ბიზნესწრეების, მათ შორის საქართველო-ევროკავშირის ბიზნესხელმძღვანელს საინტერესო ინტერვიუ ჰქონდა, რომ საქართველოს ხელისუფლება და საქართველოს ბიზნესი სრულფასოვნად ვერ იყენებს ამ ვიზალიბერალიზაციის, ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობით მინიჭებულ უფლებებს. კომპლექსური ნაბიჯებია გადასადგმელი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობამ უფრო მეტი იცოდეს, მეტი სარგებლობა მიიღოს და, ასე ვთქვათ, ფეხი აუწყოს იმ საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რომლებიც უნდა იყოს გაწერილი, იმაზე, თუ რა სჭირდებათ მათ სახელმწიფოსგან, იმისათვის, რომ ხელმისაწვდომი იყოს ევროპული დაფინანსება, ევროპული ტექნოლოგიები, საექსპორტო ბაზარი და წარმოებისთვის აუცილებელი მენეჯმენტი, რომელიც ერთობლივი კომპანიების შექმნის მიმართულებით იმუშავებენ. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს, მთავრობის კონკრეტული ნაბიჯები.

უკვე ბიზნესიც საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურები არაეფექტიანად მუშაობენ ამ მიმართულებით. ამ ფონზე ერთადერთი, რაც მოსახლეობას დარჩენია, არის ის, რომ მიდის ევროპაში დასასაქმებლად. წლები გადის, მათი ოჯახები ძალიან რთულ ვითარებაში არიან, განსაკუთრებით რეგიონებში.

ერთი პოლიტიკური მიკერძოება, ჩემიანებად და სხვისიანებად დაყოფა, განსაკუთრებით რეგიონებში ცალსახად აისახება ადამიანების პერსპექტივების გაჩენაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ერთადერთი ხსნა მათი გადარჩენისა თუ კეთილდღეობის არის ევროპაში წასვლა და რაიმე ფორმით გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც შემოსავლის გაჩენა. თუ კარგად ჩახედული ადამიანია, დააკვირდება ამას. ეს ტენდენცია არის.

***– რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, რომლის მოპოვების მიზნითაც ძალიან დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო, ამას ხომ არ ემუქრება საფრთხე? მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი კომპონენტი მისი შეჩერების მხრივ სწორედ მიგრაციას უკავშირდება.***

– სამწუხაროდ, ჩვენ როცა კრიზისამდე მივდივართ, ჩვენი ხელშეკრულება კრიზისიდან კრიზისამდეა, იქნება ეს ვიზალიბერალიზაცია თუ სხვა. ფაქტია, რომ სამუშაო ჩასატარებელია სისტემატურად და თანმიმდევრულად. ჩვენ გვქონდა კონკრეტული წინადადებები, როდესაც პრეზიდენტთან ვმუშაობდით. ეს მდგომარეობს იმაში, რომ ვიზალიბერალიზაციასთან ერთად უნდა იყოს საკითხი ადამიანების გარკვეული რაოდენობის ლეგალური დასაქმების თვალსაზრისით. ეს პრაქტიკა ჰქონდათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ევროკავშირში მიღებამდე, სადაც სეზონური სამუშაოს მიღებით მათ ლეგალურად ექნებოდათ დასაქმების შესაძლებლობა.

ამაზე მხოლოდ და მხოლოდ კრიზისული სიტუაციის შექმნის შემდეგ დაიწყო ხელისუფლებამ საუბარი, ისევე, როგორც კონკრეტულად საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც მანამდეც იყო ჩართული და რომელმაც არ გააკეთა ეს მანამდე.

***– როდესაც ამ შეთავაზებას ახმოვანებდით ხელისუფლების მისამართით, მაშინ რას გპასუხობდნენ?***

– მაშინ იყო გარკვეული მიჩუმათება. მათ მიაჩნდათ, რომ იყო ვიზალიბერალიზაცია, მაგრამ შინაარსი, ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი რაოდენობა თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე არა სამოგზაუროდ და გასართობად წავიდოდა ევროპაში, არამედ გარკვეულწილად საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური უფლებების გასაუმჯობესებლად. თუ ეს არ იცოდა ხელისუფლებამ, მანდ არაკომპეტენციის პრობლემასთან გვაქვს საქმე. იყო ამ თემის მიჩუმათება და გადავადება, რაც, სამწუხაროდ, წლებია ხდება. სამწუხაროდ, ეს გახდა ქართული პოლიტიკის სტილი.

ფაქტია, რომ ამ მიმართულებით მუშაობაა გასააქტიურებელი, რათა ეს გამოყენებული იყოს, როგორც საშუალება, დამატებითი შესაძლებლობა, რომ იმ პრობლემებს, რომლებიც ევროპასაც აქვს, მხედველობაში მაქვს მუშახელის კონკრეტული დასაქმებული ადამიანებიდან გამომდინარე...

საქართველოს მთავრობამ ბიზნესთან და ევროკავშირთან ერთად გარკვეული პროგრამები უნდა შეიმუშაოს, სადაც შესაბამისად მომზადებული ადამიანები სეზონურად დასაქმდებიან, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები, ისე – როგორც აღმოსავლეთ ევროპის. ფაქტია, რომ იქიდან ნაწილი დაბრუნდა, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამას უნდა მიეცეს მეტად ორგანიზებული, სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკაში გადათარგმნილი ღონისძიებების სახე და არა ეს ქაოსი, რომელიც დღეს გვაქვს. ისმის კითხვა, შეგვიჩერდება თუ არა ვიზალიბერალიზაცია, იმის მაგივრად, რომ ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს, რომელიც პროფესიულად მზად არის ამისთვის, ევროპაში სეზონურად თუ მუდმივად ლეგალური დასაქმების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

***– რა გამოდის, ხელისუფლება შინაარსს ვერ ხვდებოდა და ვერ ხვდება თუ ვიზალიბერალიზაცია მას იმიჯისთვის სჭირდებოდა, რომ რაღაცა ჰქონოდა სათქმელი?***

– რა თქმა უნდა, ეს არის მოკლევადიანი პოლიტიკური მიზანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმის შიში იყო, რომ ჩვენ ეს პროცესი, რაზეც ვისაუბრე, დაგვეწყო და ვიზალიბერალიზაციის თემა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარიყო. დიპლომატიაში არსებობს სხვადასხვა ფორმა, მისი ეტაპობრივი დაგეგმვა და ევროკავშირისთვის ეს სიახლე არ არის. ასოცირებული წევრები ითხოვენ მოსახლეობის ლეგალურ დასაქმებას, იქნება ეს სეზონური თუ პროფესიული დასაქმება. ეს არ იქნებოდა მათთვის სიურპრიზი. ამას მიჩუმათება კი არა, საზოგადოებასთან და პოლიტიკურ წრეებთან ერთად მუშაობა უნდა.

ევროპისთვის მნიშვნელოვანია დაგეგმილი, ორგანიზებული ლეგალური დასაქმების გზა, რომელიც მათ ისედაც საკმაოდ ბევრი აქვთ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. საქართველოს მოსახლეობა ერთ მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს და არა განცალკევებულად. ამაზე უნდა იყოს მუშაობა, რომ როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი, თავისუფალი ვაჭრობისა და ვიზალიბერალიზაციის მქონე შემდეგი ნაბიჯი სწორედ ლეგალური დასაქმების გზა უნდა იყოს საქართველოს მოსახლეობისთვის. მაქსიმალურად მოხდეს თავისუფალი ვაჭრობით გათვალისწინებული პროგრამებით ევროპული ბიზნესის საქართველოში ჩამოყვანა, დაფინანსებისა და პარტნიორების მოძიება, რათა ევროპელებისთვის საქართველო იყო ჩვეულებრივი ევროპული ეკონომიკური სივრცის ნაწილი და არა რაღაც ეგზოტიკური ქვეყანა, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ ტურისტებს იზიდავს.

# „აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საწარმოების ბრუნვა გაიზარდა, სამშენებლო პროექტების მოცულობა შემცირდა“

მიმდინარე წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ – 6%, ხოლო პირველი კვარტლის ზრდამ 4,7% შეადგინა, – ამის შესახებ „საქსტატის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მარტის ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების წარდგენისას განაცხადა.

მისივე განმარტებით, მარტში კლების ტენდენცია შეინიშნებოდა მშენებლობისა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში. ამასთან, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა უძრავი ქონებით ოპერაციებისა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის მიმართულებით.

– რაც შეეხება დარგობრივ ანალიზს, წინა პერიოდისგან განსხვავებული და საინტერესო სურათი გვაქვს. უძრავი ქონებით ოპერაციების და მომხმარებლისთვის მომსახურების სექტორში ზრდა უკავშირდება კომპიუტერულ, სარეკლამო, ბუღალტრულ, საინჟინრო, არქიტექტურულ მომსახურებას. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების სექტორში ზრდა განაპირობა აზარტულ და ფულზე თამაშებთან დაკავშირებული საწარმოების ბრუნვის მატებამ. ტრანსპორტის დარგში ზრდის მიზეზია ტვირთის სატრანსპორტო დამუშავებასა და გადაზიდვასთან დაკავშირებული საქმიანობების გააქტიურება.



მშენებლობის სექტორში შემცირების მიზეზია სამშენებლო პროექტების მოცულობის შემცირება, შენობების საერთო მოცულობის, მაგისტრალური მილსადენების, კავშირგაბმულობის და ელექტროგადამცემი ბოძების მიმართულებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ მარტში მშენებლობაზე გაცემული ნებართვების ზრდა დაფიქსირდა, რაც საშუალოვადიან პერიოდში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, – განმარტა თოდრაძემ.

საქსტატის დირექტორმა საგარეო ვაჭრობის მონაცემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირველ კვარტალში საქონლის ექსპორტი 12.8%-ით გაიზარდა.

– იანვარ-მარტში საქონლის ექსპორტი 12.8%-ით გაიზარდა და 826 მლნ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი 4.7%-ით შემცირდა და თითქმის 2 მლრდ დოლარს აღწევს, – განმარტა თოდრაძემ.

მისივე თქმით, მარტში 4.620 ახალი საწარმოა დარეგისტრირებული, რაც წინა წლის მარტის მაჩვენებელს 3.5%-ით ჩამორჩება. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა 6.5 მლრდ ლარის ფარგლებშია და 12.6%-ით არის გაზრდილი.

ipn

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გედევან ფოფხაძე: „პარლამენტში არანაირი თავისუფალი კენჭისყრა არ არის“

## უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა სიმცირის არგუმენტით თუ ჩინჩალაძე-მურუსიძე და მისი კლანი იქნებიან არჩეული, მაშინ, რასაკვირველია, პარლამენტი ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტში მოსამართლეების შერჩევის შესახებ განსახილველ კანონპროექტზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, მოსამართლეების შესახებ კანონპროექტი, რომელიც უმრავლესობის მიერ არის შემუშავებული, პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო. თქვენი კანონპროექტის განხილვა მხოლოდ ფორმალობაა?***

– სახელისუფლო კანონპროექტი მეორე მოსმენით უკვე მიღებულია და მესამე მოსმენა კანონპროექტს არაფერს არ აძლევს, რადგან მოგეხსენებათ, მასში მხოლოდ რედაქციული შენიშვნები შედის. „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

რაც შეეხება ჩვენს კანონპროექტს, მისი განხილვა მიმდინარეობს. ერთადერთი გამოსავალი არის ჩვენი კანონპროექტის მიღება. ჩვენ ამით შანსს ვაძლევთ ყველას, ვისაც უნდა, რომ იმ არსებული სიტუაციიდან გამოვიდეს. იმ პირობებში, როდესაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არა აქვს არანაირი ნდობა, დისკრედიტირებულია, როდესაც სასამართლოში არსებობს რეალური კლანი და კლანის ინტერესები, თან ყველასთვის ცნობილია ვენეციის კომისიის დასკვნა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის განცხადება ამ საკითხზე, ჩვენი კანონპროექტი არის შანსი ამ რეალობიდან გამოსვლის.

ჩვენი კანონპროექტის მიღება იქნებოდა ანგარიშის გაწევა საერთაშორისო პარტნიორებისთვის. სწორედ ამ კანონპროექტისკენ უნდა აიღოს პარლამენტმა ორიენტაცია და მესამე მოსმენაზე მხარი აღარ უნდა დაუჭიროს სახელისუფლო კანონპროექტს.

***– რეალობას რომ დავუბრუნდეთ, რა განწყობებია პარლამენტში? უმრავლესობაში თითქოს საუბარი იყო, რომ ადამიანები ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, რომ კენჭისყრა თავისუფალი იქნებოდა.***

– პოლიტიკურ კონიუნქტურას ვერ გავექცევით და ეს ფაქტია, მაგრამ ადამიანებს შანსი ყოველთვის უნდა დავუტოვოთ.

***– ვიღაცები მერყეობენ თუ მეორე მოსმენის კენჭისყრის დროს გამოჩნდა, სულ რაღაც ორი თუ სამი დეპუტატი იყო უმრავლესობიდან, რომელმაც მხარი არ დაუჭირა.***



– არანაირი თავისუფალი კენჭისყრა არ არის. ჩვენ რომ წამოვედით, ბოლო სხდომა იყო, სადაც ასეთი პათოსი იყო: ვისაც საჯაროდ საწინააღმდეგო პოზიცია ექნება, მან უმრავლესობა უნდა დატოვოს. მერე ეს ჩათშიც დაფიქსირდა და დეპუტატებს ესემესებიც მიუვიდათ. ასე რომ, არანაირი დემოკრატიული პროცესი ამ კანონპროექტთან დაკავშირებით და, საერთოდ, ამ საკითხზე არ ყოფილა „ქართულ ოცნებაში“. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ გარკვეული წნეხის ფონზე მოგვიწევდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ჩემი მხრიდანაც არ მინდა წნეხი იგრძნონ ჩემმა კოლეგებმა. ამიტომ, თუ ფიქრობენ, რომ ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანის ყოფნა სასამართლოში არაფერს არ აშავებს და პირიქით, მათი გაძლიერება უზენაეს სასამართლოში არის მიზანი, მაშინ გასაგებია, ეს უკვე მათი არჩევანია. თუმცა, ჩვენი ვალდებულებაა კენჭისყრის ბოლო წუთამდე პროცესის შემოსატრიალებლად ვიბრძოლოთ. ვინ როგორ გამოიყენებს ამ შანს, ეს მათზეა დამოკიდებული. ვიღაცა გახდება ამ პროცესის თანამონაწილე და ვიღაც არა.

***– თქვენ აქ მორალურ პასუხისმგებლობასაც ხედავთ?***

– თუ ეს პროცესი ისე დასრულდა და პარლამენტმა თავისკენ არ წამოიღო, თუ თავისთავზე არ აიღო, მაშინ შედეგზე, რასაკვირველია, პარლამენტი იქნება პასუხისმგებელი. იუსტიციის საბჭო პარლამენტს წარუდგენს იმ კანდიდატებს, რომელიც მისთვის არის მისაღები და ფონად შეიძლება უარესი კანდიდატები წარმოადგინოს. უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა სიმცირის არგუმენტით თუ ჩინჩალაძე-მურუსიძე და მისი კლანი იქნებიან არჩეულები, მაშინ, რასაკვირველია, პარლამენტი ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. რა თქმა უნდა, მთლიანობაში ეს შექმნის ფონს და მოცემულობას, რომ სწორედ ამ გუნდმა, პარლამენტის შემადგენლობის ამ წრემ უზრუნველყო კლანის გავლენის სამართლებრივი, პოლიტიკური და პერსონალური დამკვიდრება და ჩაბეტონება სასამართლო სისტემაში. ამაზე პასუხისმგებლობას, რასაკვირველია, ვერავინ ვერ გაექცევა ვერც პოლიტიკურს, ვერც მორალურს და ვერც ადამიანურს. ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენი კანონპროექტისთვის მხარდაჭერა იქნებოდა ამ შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი.

***– თქვენ ვარაუდობთ, ჩინჩალაძე-მურუსიძე არა, მაგრამ მათ მიერ შედგენილი სია შეიძლება მიიღოს პარლამენტმა დასამტკიცებლად თუ უფრო თავისუფალი იქნება?***

– თუ ჩინჩალაძე-მურუსიძის ინტერესებს მორგებულ კანონს ვღებულობთ, მაშინ სია რატომ უნდა იყოს განსხვავებული?! აქ ლოგიკას ვერ ვხედავ. მე არ გამოვრიცხავ, ვინაიდან პროცესის შეფუთვა ხდება, პერსონალურ დონეზეც მოხდეს ოდიოზური ფიგურების ჩაჩოჩება და უფრო ლატენტური კლანის წევრების წამოწევა, მაგრამ ეს არსებით ცვლილებას არ გვაძლევს, პირიქით. „ქართულმა ოცნებამ“ ეს პოლიტიკური არჩევანი უკვე გააკეთა, გააკეთა პოლიტსაბჭოს დონეზე.

***– რატომ?***

– თქვენ გახსოვთ, როგორ მოხდა ეს, რაც ხდებოდა პოლიტსაბჭოზე. როგორ მოხდა კლანისთვის მხარდაჭერის გამოცხადება და შემდეგ ამას როგორ მოჰყვა კობახიძისა და ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, რომელიც სწორედ კლანის საჯარო მხარდაჭერას წარმოადგენდა. ახლა დარჩა მხოლოდ ამ მხარდაჭერის სამართლებრივი გაფორმება.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ეს კვირა იქნება ბოლო შანსი პარლამენტისთვის. რას გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ იმას, რომ პარლამენტი არჩევანის წინაშე დგას. არის ორი კანონპროექტი: ერთი, პირველი მოსმენით უნდა მიიღოს ან მეორე, მესამე მოსმენით. თუ, პარლამენტი მესამე მოსმენით მიიღებს კანონპროექტს, ეს ნიშნავს, რომ ის სამართლებრივად აკანონებს კლანს სასამართლო სისტემაში. ამ შემთხვევაში პარლამენტი იღებს პასუხისმგებლობას მთელ ამ პროცესზე. ეს არის არჩევანი თუ რა არჩევანს აკეთებს სახელმწიფო. ეს არ არის საკითხი, რომელიც ადგენს პროცედურებს და რომელიც წესს ეხება. ეს ეხება თითოეულ ჩვენგანს. ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. ჩვენ ვიცხოვრებთ თუ არა სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც მართლმსაჯულებას განაგებს არა კლანი, არამედ სამართალი.

სწორედ ამ არჩევანის წინაშე დგას პარლამენტი. ამ გადაწყვეტილებით ჩვენი სადეპუტატო მანდატი ან დამძიმდება, ან მორალურად გამართლდება.

# „დავითგარეჯზე აზერბაიჯანის მხრიდან დავა ზღვარს გადასული თავხედობაა“

## თენგიზ დიხამინჯია: „საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ისევე უნდა დაიცვან დავითგარეჯი საქართველოს შემადგენლობაში, როგორც თავიანთ ტერიტორიებს იცავენ“

გულიკო ბალაძე

საქართველოს მთავარი პრობლემა დღეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და მეზობელ სახელმწიფოებთან დაუდგენელი საზღვრებია. ამ პრობლემამ თავი იჩინა აღდგომის წინა დღეებშიც, როდესაც აზერბაიჯანმა დავითგარეჯის მონასტრის გზები ჩაკეტა. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილში აზერბაიჯანს მესაზღვრეები უყენია, ანუ ამ მონასტრის ტერიტორიის ნაწილის მისაკუთრებას აზერბაიჯანი ცდილობს. უფრო მეტიც, ის აცხადებს, რომ დავითგარეჯი ალბანური ძეგლია, თვითონ კი ალბანელების მემკვიდრეები არიან. ამ თემაზე „ახალი თაობა“ უზენაესი საბჭოს დეპუტატ **თენგიზ დიხამინჯიას** ესაუბრა.



***– ბატონო თენგიზ, მოგეხსენებათ, დღევანდელი საქართველოს უდიდესი პრობლემა ოკუპირებულ ტერიტორიებთან ერთად საზღვრებია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოდის. როგორც ვიცი, დავითგარეჯთან დაკავშირებით წარმოშობილ დავაში თავის დროზე თქვენც მონაწილეობდით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის წევრი. რა პრობლემები იყო მაშინ და დღემდე რატომ ვერ მოგვარდა?***

– პრობლემები დაიწყო მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი შეიქმნა. იმ საბედისწერო დროში საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანის მხარეს გადაეცა. რამდენიმე ჰექტარი მიწა ცხვრისა და საქონლის დასაპურებლად გადასცეს.

***– იჯარით გადაეცა?***

– აზერბაიჯანს იჯარით გადაეცა დიდი ტერიტორია. ამის შემდეგ იწყება მთელი უბედურება. ეს არის დავითგარეჯის მიღმა ტერიტორია. ცხადია, ამიტომ ეს ტერიტორია აზერბაიჯანის იურისდიქციაში მოექცა. საქართველოს ხელისუფლებებმა, მათ შორის, კომუნისტურმა, ეს იჯარით გადაცემის იურიდიული ფაქტი დაივიწყა, ფაქტობრივად, დაუკანონა და საუკუნის განმავლობაში საქართველოს იურისდიქციასა და მფლობელობაში არსებული მიწა-წყალი აზერბაიჯანულ მხარეს დაუტოვა. აზერბაიჯანი ამითაც არ დაკმაყოფილდა (მადა ჭამაში მოდისო) და შემდეგ დავით გარეჯის ჯერი დადგა.

9 აპრილამდე საბჭოთა კავშირის დროს ეს პრობლემა გააქტიურდა. მერაბ კოსტავა ციხიდან გამოვიდა თუ არა და როგორც კი ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, დაიწყო მასობრივი მსვლელობები დავითგარეჯის მონასტრისა და მისი ტერიტორიის შიგნით. ეს ჩემთვის იყო ერთ-ერთი უბედნიერესი პერიოდი – ქართულ თავწყაროსთან ზიარების დღეები გახლდათ.

***– როდესაც აზერბაიჯანისთვის იჯარით მიწის გადაცემაზე საუბრობთ, ჰერეთს გულისხმობთ? ცოტა ხნის წინ წავიკითხე, ჰერეთი გადაცემული ყოფილა იჯარით.***

– ძალიან დიდი ტერიტორიებია გადაცემული იჯარით. გაცილებით დიდი, ვიდრე დავითგარეჯის კომპლექსია.

***– ამ იჯარას 2021 წელს გასდის ვადაო.***

– კი ბატონო. როდესაც არის ისტორიული, კულტურული, იურიდიული, პოლიტიკური საკითხები, კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული. ამას ხელისუფლება კი არ უნდა ჩქმალავდეს, არამედ პირიქით, უნდა მოქმედებდეს. მაშინ, როდესაც სიმართლე შენს მხარეზეა, ყველანაირი ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე, ამას სჭირდება გაცნობიერება, კომპლექსური მიდგომა და იდეების რეალიზაცია.

როდესაც ჩვენ დავითგარეჯში ჩავდიოდით, მაშინ იქ საბჭოთა ჯარების საწვრთნელი პოლიგონი იყო. საბჭოთა გარნიზონი იდგა. მათ სატანკო დივიზიები და ბატალიონები ჰყავდათ. წვრნებს ატარებდნენ და ამ უნიკალურ ძეგლს ანადგურებდნენ. ჩვენ იქ ინტენსიურად ჩავდიოდით. დღევანდელი პოლიტიკოსები ტელევარსკვლავებად რომ არიან გადაქცეული, ჟურნალისტების გარეშე არ ჩადიან, მაშინ ყველა ქვეყნის სიყვარულითა და სამშობლოსადმი თავდადების გრძნობით იყო გაჟღენთილი.

***– მაშინ საზღვარი გასწორდა და ტერიტორიას მთლიანადაც ქართული მხარე აკონტროლებდა?***

– დიახ. ეს 9 აპრილამდე ხდებოდა. 9 აპრილის შემდეგ მთლიანად ჩვენი უპირატესობა იგრძნობოდა. ფაქტობრივად, ეროვნული ძალები მნიშვნელოვნად აკონტროლებდნენ იქაურობას. მორალურ და სულიერ კლიმატს ეს ქმნიდა. არ დამავიწყდება ასევე საპატრიარქოს თანადგომა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დღევანდელი ალავერდელი მიტროპოლიტის (რომელთანაც მე ბავშვობის მეგობრობა მაკავშირებს), მეუფე დავითის (ერისკაცობაში ირაკლი მახარაძის) ღვაწლი. ის ოჯახით, ბავშვებით უმკაცრეს პირობებში ცხოვრობდა დავითგარეჯის მონასტერში და მიმდებარე ტერიტორიაზე. ოჯახით იყო იქ ჩასახლებული. ის თავისი გმირული ცხოვრების წესით, ქართულ სახელმწიფოში, ცნობიერებასა და კულტურაში სამშობლოსადმი მსახურების მაგალითს ამკვიდრებდა.

***– თქვენი ხელისუფლების დროს მოლაპარაკებები იყო? თუ აკონტროლებდით და მოლაპარაკებების საჭიროება აღარ იდგა?***

– კი, მაგრამ მანდ უნდა მომხდარიყო საზღვრების დემარკაცია.

***– რატომ ვერ მოახდინეთ საზღვრების დემარკაცია?***

– ჩვენი ხელისუფლების დროს საზღვრების დემარკაცია ვეღარ მოვასწარით. მოგეხსენებათ, ურთულესი პერიოდი იყო და ამ პრობლემამ გარკვეულწილად გადაიწია. შემდგომში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო. თუმცა, იმ პირობებშიც კი საქართველო ლიდერი იყო. მახსოვს ზვიად გამსახურდიამ აზერბაიჯანის პრეზიდენტი მუტალიბოვი ჩამოიყვანა. ზვიად გამსახურდია იმის ინიციატორიც კი იყო, რომ, საერთოდ, ყარაბაღის პრობლემა აქ მოგვარებულიყო. ამ თვალსაზრისით გამსახურდია ლიდერი იყო. ამას წინ არაფერი ედგა. საზღვარი გაუფორმებელი იყო, მაგრამ ჩვენ ვაკონტროლებდით, მხოლოდ ფაქტობრივი გაფორმება აკლდა.

***– ჰერეთის დაბრუნებაზეც იყო საუბარი?***

– ჰერეთზე ნაწილობრივ იყო ლაპარაკი. ამ თემაზე ვმუშაობდით. ყველაფერს დრო სჭირდებოდა, წელიწად-ნახევრის განმავლობაში ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა რთული იყო. აფხაზეთში მთელი რიგი საკითხები გადავწყვიტეთ. ფაქტია, რომ აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაცია ვერ მოესწრო. წელიწად-ნახევარში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, შემდეგ საომარი პირობები შეიქმნა.

***– მაშინ რაიმე დოკუმენტები შეიქმნა?***

– არ შექმნილა. დოკუმენტები არ გაფორმებულა. დოკუმენტი რომ შექმნილიყო, ახლა ავაფრიალებდით, რაც იქნებოდა ნიშანი. საზღვრები დაუდგენელი იყო და მისი დადგენა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის ვერ მოხდა. არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი და არც რუსეთი ჩვენს ტერიტორიულ საზღვრებს არ აღიარებენ და სადემარკაციო ხაზი არ არის გავლებული.

***– 1921 წლის დროინდელი საიჯარო ხელშეკრულება ან რაიმე ძველი დოკუმენტები არ არსებობს?***

– 1921 წლის დოკუმენტები უნდა არსებობდეს, რაც მოსაძიებელი და წარმოსადგენია.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# მირიან მირიანაშვილი: „რუსეთი აიძულეს, პანკისისა და გარეჯის სცენარები შეემსუბუქებინა“

## რას გადაურჩა საქართველო?

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე არეულ და პროვოკაციულ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს.**

***— პანკისის სისხლიანი მოვლენების შემდეგ ქვეყანა დავით გარეჯის გარშემო განვითარებული მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა. მღელვარება თითქოს ორივეგან ჩამცხრალია. რა შეიძლება იყოს მომავალში?***

— ორივეგან მოვლენები პროვოკაციულად განვითარდა. ორივე სცენარის ავტორი რუსეთია. კრემლს ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ გამოუვიდა. რუსეთი აიძულეს, პანკისისა და გარეჯის სცენარები შეემსუბუქებინა.

***— გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე პროცესები აზერბაიჯანის ინიციატივით აგორდა. ყოველ შემთხვევაში, გარეშე თვალისთვის ასე ჩანს.***

— აზერბაიჯანი ამაში რუსეთთან ერთად მონაწილეობდა. ამ მოვლენამდე რამდენიმე დღით ადრე, საზღვართან, აზერბაიჯანის მხარეს, ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის სამხედრო დაზვერვის-გრუს – ჩრდილოეთკავკასიის განყოფილებისა და აზერბაიჯანის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლები. გარეჯში დაგეგმილი იყო მწვავე პროვოკაცია სააღდგომოდ, რასაც შემდეგ მოჰყვებოდა ინციდენტები ქვემო ქართლში. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა ამერიკელებისათვის. დავით გარეჯს ეწვია პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

***— სალომე ზურაბიშვილის ჩასვლას პრევენციული დატვირთვა ჰქონდა?***

— ჩემი აზრით, სალომე ზურაბიშვილს ჩვენმა ამერიკელმა პარტნიორებმა სთხოვეს, იქ გამოჩენილიყო. ეს იყო გაფრთხილება, რომ რუსეთისა და აზერბაიჯანის ამ გეგმების შესახებ ყველაფერი ცნობილია. გარდა ამისა, ბაქოს მიეწოდა შესაბამისი გზავნილები. აზერბაიჯანი აშშ-სთან ურთიერთობის გაუარესებას ყოველთვის უფრთხის. რაც უნდა სთხოვოს მოსკოვმა, თუ ეს ვაშინგტონის პოზიციას ეწინააღმდეგება, ბაქო ამაზე არ მიდის. სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იქ გამოჩენის გამო ბინძური კამპანია აგორდა. ამ კამპანიის მონაწილეებიდან ზოგი დავალებას ასრულებდა, ზოგი კი მასში უმეცრების გამო ჩაება.

***— სიტუაციის არევა მაინც მოხერხდა. ახლა საუბარია აზერბაიჯანის მხრიდან კონტინგენტის ზრდაზე.***

— ბევრად უარესს გადავრჩით. მოხდა სიტუაციის გალაითება. რუსეთი აიძულეს, გარეჯის სცენარი შეემსუბუქებინა. კონტინგენტზე ლაპარაკი თემის გადაფარვაა. სიტუაცია თითქმის განმუხტულია. იმავეს თქმა შეიძლება პანკისზე. დრამატიზება ჩაუფლავდათ. კრემლს პანკისის შემთხვევაში ვაშინგტონის პოზიციისა ეშინოდა. როცა რუსეთს აშშ-ის რეაგირებისა ეშინია, დაახლოებით 3-დღიან პროვოკაციებს აწყობს. ეს დროა საჭირო, რომ ამერიკის საელჩო მიმდინარე მოვლენებში გაერკვეს და მათ გამოეხმაუროს. ამ სიტუაციაში ეს ვერ მოესწრო. პანკისში მოწყობილი პროვოკაციის გამო საქართველოს ხელისუფლებას არავინ შეაქებდა.

***— პოლიტიკოსების ნაწილი პანკისის 21 აპრილის მოვლენებში პროვოკაციას კი არა, დაუოკებელ ფინანსურ დაინტერესებას და ჰესებით გატაცებას ხედავს.***

— ფინანსურ ინტერესებს ბზობას, დილაადრიან სპეცრაზმის თანხლებით არ იკმაყოფილებენ. სამშენებლო კომპანიების მადა და მოუთმენლობა უსაზღვროა. ბზობას მშენებლობები მათაც კი გააჩერეს.

***— პანკისის თემაზე გამოხმაურებები გრძელდება. საუბარია დამრღვევების შესაძლო დაჭერაზე.***

— აქტიური ფაზა, ანუ შეხლა-შემოხლა, დამთავრდა. კიდევ კარგი, რუსეთის სპეცსამსახურებს ჩანაფიქრი ბოლომდე არ გამოუვიდათ. დაძაბულობის კერები საქართველოში რუსეთს სჭირდება ხელისუფლების თავისი სცენარით გადასაბარებლად. ივანიშვილის დრო დამთავრდა. მოსკოვი მას თანამდებობაზე ველარ დასვამს. ამიტომ, რუსებს სჭირდებათ ივანიშვილისა და მისი გარემოცვის სხვებით ჩანაცვლება. პუტინის თანაშემწე სურკოვი ამ მიზნით სხვადასხვა ვარიანტს ათამაშებს. რუსულ სცენარებს ამერიკელები შლიან. ამერიკელები რუსეთის სპეცსამსახურებს სხვადასხვანაირად მიანიშნებენ, რომ მათი გეგმები გაშიფრულია. ზუგდიდის მერის არჩევნები რუსეთისთვის ერთი საფეხურია მომავალი განზრახვებისათვის. თორემ, ვის აინტერესებს საქართველოს ერთი პატარა ქალაქის მერის შუალედური არჩევნები! სანდრა რულოვსის რეკლამირება რუსეთის გეგმებში შედის. ალბათ, შექმნილი მდგომარეობა სიტუაციას ზუგდიდშიც გაალაითებს და იქაც ნაკლები ღრიანცელი იქნება. 25 აპრილს პუტინი ეთათბირა სურკოვსა და ლავროვს. მათ დონბასსა და საქართველოზე იმსჯელეს. ალბათ, შექმნილი მოცემულობიდან გამომდინარე გადაწყდა კორექტივების შეტანა გეგმებში საქართველოს მიმართ. მომავალში რადიკალიზაცია და დრამატიზაცია ნაკლებად უნდა იყოს.

***— პუტინმა უკრაინის ახლად არჩეულ პრეზიდენტს საპასპორტო თემის ფარგლებში სააკაშვილი უხსენა და უკრაინაში მისი უფლებების აღდგენა მოითხოვა. ამას სააკაშვილის მწვავე რეპლიკა მოჰყვა.***

— პუტინი შოკირებულია უკრაინაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით. მას სააკაშვილი იქ რადიკალიზაციისთვის დასჭირდა.

***— ქართველი ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ თუ ზელენსკი მიიწვევს სააკაშვილს უკრაინაში, ბოლო მოეღება მითქმა-მოთქმას ზელენსკის კრემლთან ალიანსის შესახებ.***

— ეს გადაბრუნებული რეალობის დახატვაა. ამ ექსპერტებისთვის სააკაშვილია დასავლელი პოლიტიკოსი და ზელენსკი რუსეთის კაცი. ეს სრული აბსურდია. სააკაშვილს დასავლეთმა ღიად აქცია ზურგი. ზელენსკი პუტინისთვის ისეთი მიუღებელია, რომ მისი გვარის ხსენებას ერიდება. ზელენსკიმ პუტინს შესთავაზა მოლაპარაკებები დონბასზე. პუტინს მშვიდობიანი მოლაპარაკებები არ აწყობს. ამაში ის ვერ გამოტყდება. პუტინი ეძებს საბაბს, რომელსაც ამ შემოთავაზების ჩასაშლელად გამოიყენებს. სიტუაციის რადიკალიზაციისთვის კარგი ვარიანტია სააკაშვილი. პუტინი მას დიდი ხანია, იყენებს, საჯაროდ კი ისე იხსენიებს, როგორც იმ მომენტში სჭირდება. ამჯერად მან სააკაშვილი პოზიტიურად ახსენა. ახლა ასე სჭირდებოდა და იმიტომ.





„სააკაშვილის გამოყენებით პუტინს უკრაინაში სიტუაციის რადიკალიზაცია სჭირდება“

# „დავითგარეჯზე აზერბაიჯანის მხრიდან დავა ზღვარს გადასული თავხედობაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— დავითგარეჯთან დაკავშირებით შეიძლება იყოს დოკუმენტები?***

— დავითგარეჯი თავიდან ბოლომდე ქართული ძეგლი და ტერიტორიაა. აზერბაიჯანული მხარე იჩენს უდიდეს თავხედობას, იჩემებს ალბანეთის მემკვიდრეობას და თავს ალბანეთის მემკვიდრედ აცხადებს. სინამდვილეში ალბანეთს აზერბაიჯანულ ტომებთან არანაირი კავშირი არ აქვს, არანაირი, კულტუროლოგიურად და გენეტიკურად რომ გაზომავ. რასაც აზერბაიჯანის მხარე აცხადებს, ისე არ არის. ეს არის არაბების მიერ ასიმილირებული ხალხი მათთან, ვინც ცხოვრობდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

***— კი, მაგრამ დავითგარეჯი ალბანელებისაც რომ არ არის?***

— დიახ, არც ალბანელებისაა, ქართული ძეგლია, ქართული ფრესკებით, ქართული წარწერებით. ამდენად, ქართული ძეგლია თავიდან ბოლომდე. კულტუროლოგიური ექსპერტიზა რომ ჩატარდეს, მარტო იმით დადგინდება, რომ არანაირი ალბანური კვალი დავით გარეჯში არ არის. მონათესავე შეიძლება იყოს, მაგრამ დავითგარეჯი თავიდან ბოლომდე ქართული თავწყაროს, კულტურისა და იდეის განსხეულებაა. თუ არ ვცდები, მეოთხე საუკუნეშია აღებული.

***— როგორ უნდა გადაწყდეს?***

— ქვეყანა პრობლემის წინაშე დგას. პოლიტიკური საკითხია. უნდა მოხდეს ამ ზონის დემილიტარიზაცია. შემდეგი ეტაპი უნდა იყოს დემარკაციის ხაზის გავლება და გარდამავალ პერიოდში, როგორც მინიმუმ, თუნდაც დროებით ნეიტრალურ ზონად გამოცხადება.

***— თუ აზერბაიჯანელები ალბანელების ნათესავები არიან, თურქებს როგორ ენათესავებიან?***

— ეგ არის მთავარი. თურქებთან დაკავშირებით აზერბაიჯანელების ლოზუნგია ერთი ეთნოსი, ორი ქვეყანა. ანუ აზერბაიჯანელები და თურქები ამბობენ: ჩვენ ვართ ერთი ეთნოსი, ორ ქვეყანაში განთავსებულიო. მათ ალბანურ კულტურასთან არანაირი შეხება არ აქვთ, მით უმეტეს, ფრესკები და წარწერები მეტყველებს ქართული კულტურის თავწყაროზე. ამიტომ აუცილებელია ამ ხაზის ამოქმედება.

***— ამ საკითხის ირგვლივ, ალბათ, მთელი ერი უნდა გაერთიანდეს.***

— ეს არის მთავარი ხაზი ეროვნული თანხმობის მისაღწევად. მრავალ ნაწილად გახლეჩილი ერისთვის ამ იდეის განსხეულება უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

***— ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები როგორ გესახებათ?***

— ერთ-ერთი გზაა ამ საკითხში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების აუცილებლად ჩართვა (არანაირ ნორმებს არ ვარღვევ). ის აზერბაიჯანელები, რომლებიც საქართველოში თავს გრძნობენ ძალიან ლაღად, როგორც თავიანთ სამშობლოში და თავიანთი აზერბაიჯანული თვითმყოფადობის, ეროვნულობის დაცვის აბსოლუტური გარანტიები აქვთ, ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლებასა და მთელ ქართველ ერს მხარში უნდა დაუდგნენ.

***— როგორ?***

— საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ისევე უნდა დაიცვან დავითგარეჯი საქართველოს შემადგენლობაში, როგორც თავიანთ ტერიტორიებს იცავენ. ყველანაირი ინსტიტუტი და მექანიზმი უნდა ამოქმედდეს. ყველანაირი პირობა უნდა გამოიყენო იმისათვის, რომ საქართველოს აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ თავიდან ბოლომდე დაიჭიროს ისტორიული სამართლიანობისა და ქართული სახელმწიფოს მხარე.

***— ჩვენი აზერბაიჯანელი მოსახლეობა ამას დათანხმდება?***

— ამ შემთხვევაში ეს მოსახლეობა სახელმწიფომ იძულებული უნდა გახადოს, დაემორჩილოს ქართული სუვერენიტეტის იდეის დაცვას, კონკრეტულად, ვსაუბრობ იმ აზერბაიჯანელებზე, რომლებსაც ჩვენ ქართველებისაგან არ ვარჩევთ. ის მოქალაქეობა, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული, პირდაპირ კავშირში უნდა იყოს საქართველოს სუვერენიტეტისა და კონკრეტულად დავითგარეჯის დაცვის საკითხთან

***— ე.ი. თქვენ ამ პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზა დასახეთ.***

— რამდენიმე ვექტორია: ერთი არის დიპლომატიური, სახელმწიფოებრივი, მეორე – საშინაო – ერის გაერთიანება ამ კონკრეტულ საკითხში. დავითგარეჯის დათმობა არაფრით არ შეიძლება. აზერბაიჯანის მხრიდან დავითგარეჯთან დაკავშირებული დავა არის ყოველგვარ ზღვარს გადასული თავხედობა, რაც არაფრით განსხვავდება იმისაგან, რასაც რუსები აკეთებენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

რუსეთის მხრიდან მცოცავი ოკუპაცია რომ არის და საოკუპაციო ხაზი რომ აქვთ აღმართული სხვის ტერიტორიაზე, იგივე მეთოდები და იგივე მზაკვრობაა აზერბაიჯანის მოქმედება გარეჯთან დაკავშირებით, მით უმეტეს, როცა საქართველოს აზერბაიჯანი სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნია.

სამწუხაროდ, ჩვენთან სახელმწიფო, ინსტიტუტი, როგორც ასეთი, აბსოლუტურად მკვდარია. ის შედგება დემაგოგი ადამიანებისაგან, რომლებსაც სახელმწიფოსთან არანაირი კავშირი არ აქვთ. სახელმწიფოს დაცვა მათი პრეროგატივა არ არის. ბურატინოს სინდრომით დაავადებული პერსონები არიან. ეს ძირითადად „ოცნების“ ხელისუფლებასა და მის ყველა აღმსრულებელ წევრს ეხება.

***— რატომ ვერ მოახერხეს დანარჩენმა ხელისუფლებებმა ამ პრობლემის მოგვარება?***

— წაუყრუეს და იმიტომ.

***— მოგეხსენებათ, შევარდნაძეც და სააკაშვილიც ალიევების მეგობრობაში იყვნენ ჩაფლული. ამ პირობებში უდიდესი პრობლემები დაგვიტოვეს.***

— პრობლემები იმიტომ დაგვიტოვეს, რომ ძირითადად პრობლემის გადაწყვეტას კი არ ცდილობდნენ, არამედ იმ მომენტისთვის მოხსნას. ეს საკითხი გადადიოდა საარჩევნო ასპექტში. შევარდნაძე და ალიევი, ალიევი და სააკაშვილი ერთმანეთს ურიგდებოდნენ, რამდენ ხმას აიღებდნენ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. შესაბამისად, დავითგარეჯის პრობლემა უკანა პლანზე გადადიოდა. შედეგად მივიღეთ ის, რასაც დღეს ვხედავთ.

დღესაც ეჭვი მაქვს, ხელისუფლება იმავე მხარდაჭერით საზრდოობს, იგივე კლანური ინტერესებია „ოცნებასა“ და ალიევის ხელისუფლებას შორის. სხვანაირად ვერ ამიხსნია ის უთავმოყვარეობა, რომელიც არის ამ საკითხთან დაკავშირებით.

***— კლანურ ინტერესებში რას გულისხმობთ?***

— საქართველოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხარდაჭერაში, ასევე ნავთობსა და სხვა ენერგომატარებლებში გაიცვალოს ეს პრობლემა, საზღვრის დემარკაციის საკითხი კი მე-3-4 პლანზე გადავიდეს. როდესაც შენი მოხელე, მისი პირველი პირიდან დაწყებული, უკანასკნელით დამთავრებული, როგორც სავაჭრო დაწესებულებას, ისე უყურებს საკუთარ ქვეყანას, მაშინ აზერბაიჯანი ასეთ თავხედობაზე წავა და წამსვლელია მომავალშიც. აუცილებელია ან ამ პოლიტიკის რადიკალურად შეცვლა, ან ამ ხელისუფლების.

***— როდესაც პრეზიდენტი იმყოფებოდა აზერბაიჯანში, სწორედ საზღვრების დემარკაციის საკითხი დასვა. აღდგომამდე ჩვენი პრეზიდენტი ასევე ჩავიდა დავითგარეჯში და იქაურობა მოიარა, შეიძლება, მოილოცა. როგორც ჩანს, ამის საპასუხოდ ითავხედეს და სააღდგომოდ სამონასტრო კომპლექსში მისასვლელი გზები ჩაკეტეს.***

— ამას უნდა მოჰყოლოდა თავმოყვარე სახელმწიფოს ელემენტარული რეაქცია. ქალბატონი სალომეს დაინტერესება მისასალმებელია, მაგრამ მას ზურგს უნდა უმაგრებდეს კონკრეტული სახელმწიფო სტრუქტურების ადეკვატური ქმედებები, რომელიც დაკავშირებულია დიპლომატიასთან, ძალის გამოყენებასთან, შიდა პოლიტიკის მოწყობასა და სხვა საკითხებთან.

***— ძალის გამოყენებაში რას გულისხმობთ? თუნდაც ძალისმიერი გზით სახელმწიფოს ჩვენი მესაზღვრეები განელაგებინა?***

— საქართველოს უნდა გაეკეთებინა ის, რასაც ისტორიული სამართლიანობა კარნახობდა – აზერბაიჯანთან ურთიერთობის პლუს-მინუსებით საკითხი ისე უნდა დაეყენებინა, რომ აზერბაიჯანული მხარე ამ ზომამდე არ გათავხედებულიყო. მათ შორის, ძალისმიერი გზითაც უნდა ემოქმედა, ოღონდ საბოლოოდ.

მათ შორის, იმ თავხედობაზე, რომელიც მათგან მოდის, საკითხი გაეროშიც უნდა დასვან. უნდა გამოიყენო კულტუროლოგიური შეფასებები, მაღალი დონის გაეროს ექსპერტების ჩართვით, გაეროში არის სექტორი, სადაც ხდება ამგვარი თემის განხილვა, ანუ საქმეში უნდა ჩაერთონ კულტუროლოგიური არბიტრაჟები. პოლიტიკის წარმოება ეს არის და არა კლანური ინტერესების დაკმაყოფილება, რასაც წარმატებით აკეთებს „ოცნების“ ბიზნესსექტორი.

# „ნორმალურად რომ იცხოვროს მოსახლეობამ და სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემები მოგვარდეს, 4,7%-ით ზრდა სრულიად არ არის საკმარისი“





საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 6.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო I კვარტლის საშუალო რეალური ზრდა 4.7 პროცენტით განისაზღვრა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძე ამ მონაცემებს დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ მშპ-ს 6%-იანი ზრდა ინვესტორებისთვის კარგი გზავნილია.

– ვფიქრობ, ეს არის კარგი სტარტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტის წინ, რომელიც 1-ლ მაისს დაიწყება, – აცხადებს მიქაბაძე.

კომერსანტი დაინტერესდა, როგორ აფასებენ მარტის ეკონომიკურ ზრდას დარგის ექსპერტები:

**ეკონომიკის ექსპერტი ზვიად ხორგუაშვილი:**

– ძალიან ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც მთავრობამ ერთი თვის მონაცემები აიღო, რომელიც იყო თუნდაც 7% და ამით უტრაბახია, თუმცა მეორე თვეში ყოფილა ძალიან დაბალი მაჩვენებელი. მნიშვნელოვანია ჩვენ ვისაუბროთ იმაზე, თუ რამდენია საშუალო ზრდა. 4,7% მიზნობრივი მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ამაში დადებითი შეგვიძლია დავინახოთ ის, რომ ეკონომიკა არ მცირდება, მაგრამ ეს ცალკე საკითხია. ახლო პერიოდში ნორმალურად რომ იცხოვროს მოსახლეობამ და სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემები მოგვარდეს, 4,7%-ით ზრდა სრულიად არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ზრდა იყოს ორნიშნა, ისიც გრძელვადიან პერიოდში, რომ საქართველომ დაძლიოს ძირითადი ეკონომიკური სიძნელეები. 10 წლის მანძილზე თუ გექნება ორნიშნა ზრდა, ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით ორჯერ მეტი იქნება მშპ, ვიდრე დღეს არის. თუმცა, ამ კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკით ასეთი ზრდის მიღწევა შეუძლებელია. ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს დაბალი გადასახადები და მათი შემცირება ეტაპობრივად, ნაკლები რეგულაციები და კერძო საკუთრების დაცულობა. ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი რომ ავიღოთ, ყველგან სერიოზული პრობლემა გვაქვს. მეტიც, მთავრობა ზრდის გადასახადებს და ზრდის რეგულაციებს, ამასთან კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს.

ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია დაბალი ეკონომიკური ზრდისკენ. მთავრობას არათანმიმდევრული მიდგომა აქვს – ზოგი მინისტრი ამბობს, რომ ეკონომიკური ზრდა არ არის მათთვის მნიშვნელოვანი, ზოგი ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია. არ შეიძლება ერთი თვის რიცხვის აღება და ამით რაღაც მიღწევებზე საუბარი. მთავრობის მიერ გადადგმულმა მავნე ნაბიჯებმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის კლება რამდენიმე მიმართულებით – მშენებლობის ბიზნესი, უძრავი ქონების ბიზნესი, საფინანსო სექტორშიც კი – სერიოზული პრობლემებია, მაშინ როდესაც თითქმის ყოველთვის საფინანსო სექტორში ორნიშნა ზრდა იყო. აგრეთვე შეგვიძლია ავიღოთ სოფლის მეურნეობა, სადაც ძალიან დიდი პრობლემებია მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ძალიან ბევრ ფულს ხარჯავს. რეალურად ეს უბრალოდ რიცხვია და არაფერს გვეუბნება. თუ დავაკვირდებით როგორი იქნება სექტორულად ეს მაჩვენებელი 2019 წლის ბოლომდე, იქაც ვნახავთ, რომ ეს პრობლემები არსად გამქრალა და არც გაქრება.

**ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) პრეზიდენტი შოთა გულბანი:**

– მარტში დაფიქსირებული 6%-იანი ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და იძლევა ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას წლის დანარჩენი თვეებისთვისაც, ვინაიდან შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენცია საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ჩემთვის ეს მონაცემები ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა თანდათან იკრებს ძალებს შიდა წარმოების განვითარების კუთხით, რაც ექსპორტის შეუქცევად ზრდაში გამოიხატება. ვხედავთ ტენდენციას, რომ იმპორტი მცირდება და ადგილობრივი წარმოება ძლიერდება, რასაც ხელს უწყობს ერთი მხრივ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები, ხოლო მეორე მხრივ სამთავრობო პროგრამები, რომლებიც მეწარმეებს საწარმოო ციკლის თითქმის ყველა კომპონენტში უჭერს მხარს. მარტში ასევე გაიზარდა ტურიზმიდან შემოსავლები 5,3%-ით და საერთაშორისო გზავნილები 7,5%-ით, რამაც დადებითი გავლენა იქონია მარტში ეკონომიკურ ზრდაზე.

**კომერსანტი**

# ირაკლი ლექვინაძე: „ხშირად რეგულაციები ბიზნესის შესაძლებლობებს აცდენილია“

– ხშირია შემთხვევები, როდესაც რეგულაციები იმაზე მეტად არის დამძიმებული, ვიდრე ამას რეკომენდაცია ან დირექტივა გვკარნახობს.

ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ საქართველოს პირველი არხის გადაცემა „ბიზნესპარტნიორში“ სტუმრობისას განაცხადა.

გადაცემაში სტუმართან ერთად დღეს ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოზე, ბიზნესზე საბანკო რეგულაციებისა და ცვლილებების გავლენაზე ისაუბრეს.

ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, როგორც ბიზნესომბუდსმენის ოფისის 2018 წლის ანგარიშმა აჩვენა, ბიზნესს საქართველოში სამი ძირითად გამოწვევა აქვს: სასამართლო სისტემაში არსებული ხარვეზები, რეგულაციების პროპორციულობა და ბიუროკრატია ადმინისტრაციული ორგანოების შუა რგოლში.

სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით ბიზნესომბუდმენმა ხაზი გაუსვა ვადებთან, აღსრულებასთან და სპეციფიკური საკითხების ცოდნასთან დაკავშირებულ საკითხებს.

– 2018 წლის ანგარიშში სამ მნიშვნელოვან გამოწვევას გაესვა ხაზი: სასამართლო სისტემა, უფრო კონკრეტულად ვადებთან დაკავშირებული პრობლემა, გარკვეული სპეციფიკური საკითხების ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემა და რაც პირველ კვარტალში გამოიკვეთა, არსებობს რამდენიმე უწყებაში სასამართლოს სამი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც აღსრულების პრობლემაა, – განმარტა ლექვინაძემ.

რაც შეეხება რეგულაციებს, ბიზნესომბუდსმენი მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში რეგულაციები არაპროპორციულად მძიმე ტვირთს აკისრებს ბიზნესს.

– მეორე საკითხია რეგულაციების პროპორციულობა. ჩვენს ოფისს კარგად აქვს გააზრებული, რომ ძალიან ბევრი რეგულაცია ვალდებულებით გვაქვს განსაზღვრული, მაგრამ ძალიან ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც რეგულაციები იმაზე მეტადაა დამძიმებული, ვიდრე ამას რეკომენდაცია ან დირექტივა გვკარნახობს, აცდენილია ბიზნესის შესაძლებლობებს.



ხშირად არის გარკვეული კომუნიკაციის პრობლემა, ასევე იმ ვადების პრობლემა, რომელშიც უნდა მოხდეს მათი იმპლემენტაცია, – განაცხადა ლექვინაძემ.

ბიუროკრატიული პრობლემების მიმართულებით კი, ბიზნესომბუდსმენის შეფასებით, ყველაზე მტკივნეული საკითხი მოუქნელი შუა რგოლია.

– მესამე საკითხია ბიუროკრატიული მომენტები სხვადასხვა ადმინისტრაციული უწყების შუა რგოლში. დღეს პირველი პირის დონეზე ყველა უწყება პრაქტიკულად გახსნილია, როდესაც მიიღება გარკვეული გადაწყვეტილებები და მიდის შუა რგოლში, აქ ვაწყდებით პრობლემებს. ამის მაგალითად შემიძლია, მოგიყვანოთ პირველი კვარტლის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც არსებობს სხვადასხვა უწყებაში გაგზავნილი წერილები, რომლებზეც პასუხი არ არის, ბუნდოვანი ან დაგვიანებული პასუხია. საბოლოო ჯამში, ეს მოუქნელობა გარკვეულწილად ქმნის იმ განწყობას, რაც ბიზნესს არ უნდა ჰქონდეს. ბიზნესს სჭირდება მხარდაჭერა, რომ უფრო მეტად მოქნილი იყოს ამ სტრუქტურებთან და ადმინისტრაციულ უწყებებთან ურთიერთობა, – განმარტა ბიზნესომბუდსმენმა.

**1tv**

# მახათას მთაზე ქართველი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის ახალი უბნის მშენებლობა იწყება

ქართველი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის მახათას მთაზე ახალი უბნის მშენებლობა იწყება. პროექტის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ თავდაცვის მინისტრთან ერთად გამართა.



პროექტი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, სახელმწიფოს თანადაფინანსებით განხორციელდება.

მამუკა ბახტაძის შეფასებით, საქართველოს ღირსეული შვილების – სამხედრო მოსამსახურეების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

პირველ ეტაპზე პროექტში 700-მდე სამხედრო მოსამსახურე ჩაერთვება, მომავალში კი ეს რიცხვი 2000-მდე გაიზრდება.

– საბოლოო ჯამში, მთავრობის ამოცანაა, ყველა ადამიანს, რომელიც მსახურობს საქართველოს თავდაცვის ძალებში, ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ სახელმწიფო აკეთებს ყველაფერს, რათა მათ შრომა, თავდადება და სამშობლოსადმი ერთგულება დაუფასდეთ. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ შრომის ანაზღაურება გავუზარდეთ თავდაცვის უწყებაში დასაქმებულ ჯამში 2.200-ზე მეტ სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს. 2019-2020 წლებში დამატებით 9.000-მდე სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო პირს გავუზრდით ხელფასს. საერთო ჯამში ბოლო 4 წლის განმავლობაში სახელფასო ანაზღაურების ზრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებში 11.000-ზე მეტ ჩვენს მოქალაქეს შეეხო, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა სამხედროებს თავდაცვის ძალების დღე მიულოცა. მამუკა ბახტაძემ ხაზი გაუსვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების განსაკუთრებულ როლს და აღნიშნა, რომ ყველა პარტნიორის შეფასებით ისინი მოწინავეები არიან.

– ამას ვისმენთ უკლებლივ ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყნისგან, ისინი აღფრთოვანებით საუბრობენ ჩვენს სამხედროებზე, ჩვენს ოფიცრებზე, მათ სიმამაცეზე, მომზადებასა და სულისკვეთებაზე, რომელიც მხოლოდ ქართველი ჯარისკაცის სულში შეიძლება არსებობდეს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა სამხედროებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი ასეთი წარმატება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

– ნებისმიერი ერის სახელმწიფოებრივი აზროვნება განისაზღვრება იმით, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას თავისი ჯარის, თავისი ჯარისკაცების მიმართ, იმ ხალხის მიმართ, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის ფასად, ერთგულად იცავენ ქვეყნის თავისუფლებას, სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას. ჩვენ ვაშენებთ ჯარს, რომელიც პირველ რიგში იქნება მშვიდობის გარანტი. ჩვენ ვაშენებთ ჯარს, რომელიც ყოველთვის მზად იქნება, უპასუხოს ყველა სახის გამოწვევას, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სამხედროებისთვის განკუთვნილი ახალი უბანი თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე აშენდება. საცხოვრებელი ფართების მშენებლობა „ამხანაგობის“ პრინციპით განხორციელდება და ბინის საფასურის 40%-ს სახელმწიფო დაფარავს.

**კომერსანტი**

# ნათია თურნავა: „ქართული წარმოების მხარდასაჭერად ენერგეტიკული ბაზრის რეფორმის ახალ ეტაპს ვიწყებთ“

1-ლი მაისიდან მსხვილი ინდუსტრიული მომხმარებლების ნაწილს შესაძლებლობა ეძლევა, ელექტროენერგია ბაზარზე საბაზრო ფასად შეისყიდონ. აღნიშნული მომხმარებლების თავისუფალ ბაზარზე დაშვება ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლის ტარიფზე დატვირთვას შეამსუბუქებს, რაც მთავრობას საშუალებას მისცემს, მეტი დაცვის მექანიზმები აამოქმედოს საყოფაცხოვრებო მომხმარებლისა და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. ამით საქართველოში ენერგეტიკული ბაზრის დერეგულირების ახალი ეტაპი დაიწყება.



– პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირებული საწარმოები საქართველოს მსხვილი ინდუსტრიული კომპანიები არიან. ისინი ქმნიან საქართველოს ეკონომიკის დიდ ნაწილს, არიან უმსხვილეს დამსაქმებლებს შორის. ჩვენ თითოეულ მათგანთან ძალიან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ, რადგან ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებას ენერგობაზარზე ისინი მომზადებული შეხვდნენ, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

მინისტრის განცხადებით, პირდაპირ მომხმარებლებად დარეგისტრირებული საწარმოები ორიენტირებული არიან, გაზარდონ საკუთარი წარმოების ენერგოეფექტურობა. ნათია თურნავას თქმით, რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ტექნოლოგიური გადაიარაღების პროგრამებზე, რომლის შედეგადაც ისინი ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას შეძლებენ. ბაზრის დერეგულირებამ მათ მისცა დამატებითი სტიმული, რომ მეტი იფიქრონ ენერგოეფექტურობასა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

– პირადად ვაპირებ უახლოეს პერიოდში ვეწვიო რეფორმის მონაწილე თითოეულ ქართულ ინდუსტრიულ საწარმოს და ადგილზე გავეცნო, როგორ ემზადებიან, გახდნენ ენერგოეფექტურები. გარდა ამისა, ჩვენ ვგეგმავთ მათ არა მხოლოდ ენერგეტიკული საკითხების გადაწყვეტაში დავეხმაროთ, არამედ რაშიც შეგვეძლება, გვერდში ამოვუდგეთ. ქართული წარმოების მხარდაჭერა ჩვენი სამინისტროს პრიორიტეტი არის და იქნება, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ენერგეტიკული რეფორმა კარგი სტიმული გახდება იმ კომპანიებისთვისაც, რომლებიც საქართველოს გენერაციის ობიექტებში დამატებითი ინვესტიციას განხორციელებით არიან დაინტერესებულნი.

– ვფიქრობ, ამ რეფორმით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმტკიცების, ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ქართული ინდუსტრიის აღორძინებისთვის, – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ.

**კომერსანტი**

# ნათია კაპანაძე აჭარის ტელევიზიას სასამართლოში უჩივის

– მრჩეველთა საბჭოს ჰქონდა იმპიჩმენტის უფლება, მაგრამ ეს არ არის ბერკეტი, რომ მან თვითნებობა ჩაიდინოს, – აცხადებს ანა მდინარაძე, საია-ს აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი.



30 აპრილს აჭარის ტელევიზიის ყოფილმა დირექტორმა ნათია კაპანაძემ სასამართლოში ტელევიზიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. მის ინტერესებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ დაიცავს.

ნათია კაპანაძე თანამდებობიდან 19 აპრილს გადააყენეს. მის იმპიჩმენტს მრჩეველთა საბჭოს ოთხმა წევრმა დაუჭირა მხარი. 25 აპრილს აჭარის ტელევიზიის ახალი დირექტორის შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა.

კაპანაძის სარჩელში მთავარი აქცენტი გარე აუდიტის დასკვნებზეა გაკეთებული, რომლის მიხედვითაც, ტელევიზიაში ფინანსური ხასიათის დარღვევები არ დაფიქსირებულა.

„გადაწყვეტილების მიღებისას მრჩეველთა საბჭოს არ ჰქონდა შესწავლილი არც ერთი საკითხი, რომლის საფუძველზეც კენჭი ეყარა უნდობლობის გამოცხადებას,“ – აღნიშნულია სარჩელში.

ამ არგუმენტის დასტურად მოსარჩელეები მიუთითებენ იმას, რომ აუდიტის დასკვნა ბორდმა იმპიჩმენტის გამოცხადების შემდეგ მიიღო და არა მანამდე.

სარჩელში მითითებულია პროცედურული დარღვევებიც – მაგალითად, იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილება ბორდს ღია კენჭისყრით უნდა მიეღო და არა ფარულით.

ნათია კაპანაძე სასამართლოში მისთვის უნდობლობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თანამდებობაზე აღდგენას, იძულებით განაცდურის ანაზღაურებასა და დირექტორის პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შეჩერებას ითხოვს.

სასამართლომ კონკურსი შესაძლოა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს.

– მე დავამტკიცებ სიმართლეს, რომ ვმუშაობდი საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტის სრული დაცვით... მრჩეველთა საბჭომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, – აღნიშნა ნათია კაპანაძემ.

სულხან სალაძის თქმით, მრჩეველთა საბჭოს 2017 და 2018 წლების ანგარიშებში არ არის მითითებული, რომ ორგანიზაციის დირექტორს ან თავად ორგანიზაციას რაიმე პრობლემა აქვს.

იგი მიიჩნევს, რომ სასამართლოა ერთადერთი ორგანო, სადაც უნდა დადასტურდეს ის, რომ „ბორდმა უკანონო გადაწყვეტილება მიიღო“.

სულხან სალაძემ პრესკონფერენციაზე ისაუბრა შესაძლო პოლიტიკურ გავლენებზეც, რასაც გადაღების პროცესში მყოფი „აჭარის ტელევიზიის“ ოპერატორის ლაშა ჯოყილაძის პროტესტი მოჰყვა.

– თქვენ არ დაინტერესებულხართ ჩვენი პრობლემებით იმ დღეს, ისე აგვიარეთ გვერდი, ახლა კი ამბობთ, რომ თურმე პროცესი მართული იყო, – თქვა ლაშა ჯოყილაძემ.

სულხან სალაძემ მას უთხრა, რომ როცა ოპერატორების პროტესტი იმპიჩმენტის გამოცხადებასთან ერთად შეწყდა, „ეს კითხვის ნიშნებს აჩენს“.

– სასამართლოში პუნქტობრივად გაქარწყლდება თითოეული ბრალდება, რაზეც მრჩეველთა საბჭო მიუთითებდა, – დასძინა გუშინდელ პრესკონფერენციაზე იურისტმა ანა მდინარაძემ.

## შსს-მ ზურაბიშვილის მიერ ტრამპის პოსტის გაზიარების საკითხის შესწავლა დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ტვიტერში“ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გვერდზე კიბერთავდასხმის შესაძლო ფაქტის შესწავლა დაიწყო.

საუბარია სალომე ზურაბიშვილის მიერ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოსტის გაზიარებაზე.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო აღნიშნული საქმის შესწავლა და დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში დაიწყება გამოძიება“, – განუცხადეს შსს-ში „ინტერპრესნიუსს“.

შეგახსენებთ, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ის ტვიტი გააზიარა, სადაც ტრამპი პრეზიდენტობის კანდიდატ ჯო ბაიდენს „მძინარას“ უწოდებს.

თავად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას, რომელიც სოციალური ქსელების მართვის მენეჯერმა დაუშვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ გამორიცხეს კიბერთავდასხმაც.

## ლანჩხუთში 25 წლის ნ.კ.-მ ბათუმში ავარიის შემდეგ თავი ჩამოიხრჩო



როგორც „გურიის მოამბისთვის“ ხდება ცნობილი, გასულ კვირას ტრაგედია მოხდა ლანჩხუთში, სადაც ახალგაზრდა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

28 აპრილს, აღდგომას, ადრე დილით 25 წლამდე ნ.კ. საკუთარ ეზოში ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ადგილობრივების თქმით, სოფელ ნიგოითში მცხოვრებმა ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ბათუმში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მოიკლა.

გასულ შაბათს ნ.კ. სამსახურებრივი ავტომანქანით ბათუმში 60 წლამდე მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

გარდაცვლილი ნიგოეთელების სიძე იყო. როგორც სოფელში გვითხრეს, ნ.კ-ს წინააღმდეგ დაღუპულის ოჯახის წევრებს პოლიციისთვის არ მიუმართავთ:

– უბედური შემთხვევა მოხდა. თან გარდაცვლილი ჩვენი სოფლის სიძე აღმოჩნდა. არ უჩივლა ოჯახმა და პოლიციას არ დაუკავებია ნ.კ, მაგრამ ისე იმოქმედა მასზე მომხდარმა, დილით საკუთარ ეზოში ჩამომხრჩვალი ნახეს, – უთხრა „გურიის მოამბეს“ ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

ახალგაზრდა, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ერთ-ერთ კომპანიაში მძღოლად მუშაობდა.

## საგამოძიებო სამსახურმა მებაჟე ოფიცერი დააკავა




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ინსაიდერული და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება-გადაცემის ფაქტზე, საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე ოფიცერი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, რომელსაც სამსახურებრივად ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო ელექტრონულ ბაზაზე, უკანონოდ აგროვებდა მეწარმე სუბიექტების მიერ განხორციელებული საქონლის იმპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციას და შემდგომ გადასცემდა დაინტერესებულ პირს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

## თაგილონში დაკავებული ზაზა შარიას მიმართ აფხაზურმა მხარემ სისხლის სამართლის საქმე აღძრა



სამეგრელოდან აფხაზეთში ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დაკავებული 33 წლის ზაზა შარიას მიმართ აფხაზურმა მხარემ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სოხუმიდან დევნილი, ამჟამად თბილისში მცხოვრები შარია გალის რაიონის სოფელ თაგილონში დააკავეს.

დე ფაქტო უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა შარია 2013 წელს გალის რაიონის პროკურატურამ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილად გამოაცხადა. დე ფაქტო სამინისტროს ცნობით, დაკავებულზე ძებნა იყო გამოცხადებული გალში, თოფურიების ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაზე 2014 წელსაც.

შარია ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით 19 აპრილს დააკავეს. სუს-ში დაკავების ფაქტს ადასტურებენ.

– ამოქმედებულია ცხელი ხაზი, ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, – აცხადებენ სუს-ში.

## საბაჟო-გამშვებ პუნქტებში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს



საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „სადახლო-საავტომობილო“, „მტკვარი“ და „ქუთაისის აეროპორტი“ არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოქალაქეების ფიზიკური და მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერების შედეგად, ჯამში 25.357.69 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (საერთო წონა 274.54 გრამი) გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 25,357.69 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

## 3 ავარია გორში

### 1 ადამიანი დაიღუპა, 9 დაშავდა




გორის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში 29 აპრილს მომხდარი 3 ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, 9 კი დაშავდა.

კერძოდ, მსხვერპლით დასრულდა ავარია სოფელ შინდისთან. გარდაცვლილია 45 წლამდე ასაკის მამაკაცი, ავტომობილში მყოფი მგზავრი კი სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებით გორში კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს.

რამდენიმე ადამიანი დაშავდა სოფელ ტყვიავთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგადაც. სასწრაფო დახმარების ჯგუფებმა 3 მათგანი – „გორმედში“, 3 კი თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს.

ერთ ერთ-ერთ დაშავებულს, 21 წლის გოგონას, „გორმედში“ სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების განცხადებით, პაციენტი კლინიკაში კრიტიკული მდგომარეობით შეიყვანეს.

სოფელ ხელთუბანთან კი მიკროავტობუსი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა. შემთხვევის შედეგად დაშავებული 2 მამაკაცი გორის სამხედრო ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

მომხდარ ფაქტებზე გამოძიებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველო აწარმოებს.

## ალაიანთან ერთმანეთს 5 მანქანა შეეჯახა

### რამდენიმე ადამიანი დაშავდა

29 აპრილს ლესელიძე-სენაკი-თბილისის ავტომაგისტრალის ალაიანის მონაკვეთზე ერთმანეთს 5 მანქანა შეეჯახა.



ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულები კასპის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევა დაახლოებით 20 სთ-ზე მოხდა. სააღდგომო დღესასწაულების გამო მთავარ მაგისტრალზე მოძრაობა გადატვირთული იყო.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

## გორში შუახნის ქალი ეჭვიანობის გამო ქალებმა ცემეს



გორში, წმინდაწყლის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში შუახნის ქალი ცემეს.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მოძალადეები ასევე შუახნის ქალები არიან. ფიზიკური ანგარიშსწორების მოტივად კი ეჭვიანობა სახელდება.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო.

## ქუთაისში 2 დას მანქანა დაეჯახა



30 აპრილს ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დები დაშავდნენ.

გოგონებს მანქანა მაშინ დაეჯახა, როცა ისინი გზაზე გადადიოდნენ.

ავარია ირაკლი აბაშიძის გამზირზე, იუსტიციის სახლის წინ მოხდა.

## იტალიაში სალეჭი რეზინის მოპარვისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს

იტალიაში, ქალაქ ბარიში, პოლიციამ სალეჭი რეზინის მოპარვისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავა.

დაპატიმრებულია 35 წლის მამაკაცი, რომელმაც ბარის სუპერმარკეტიდან 40 ევროს ღირებულების სალეჭი რეზინი მოიპარა.

## ორთაჭალაში ავარიაში მორაგბე გიორგი რეხვიაშვილი დაიღუპა



„ახალი თაობა“ უკვე წერდა. რომ 28 აპრილს, საღამოს, ორთაჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამბების ინფორმაციით, ერთ-ერთი გარდაცვლილი ქართველი მორაგბე გიორგი რეხვიაშვილია. იგი ესპანეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა და საქართველოში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა.

30 წლის სპორტსმენს მეუღლე დარჩა.

# ირაკლი კაკაბაძე: „დააბრუნეთ დავით გარეჯი, ყიზილბაშებო!“

მწერალი ირაკლი კაკაბაძე დავით გარეჯის დაუყოვნებლივ დაბრუნებას ითხოვს:

– ახლა ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ: ყიზილბაშების შთამომავლებმა მიიტაცეს დავით გარეჯის მონასტრის ნაწილი; ისინი უფრო მეტსაც აცხადებენ: რომ ეს ვითომ ქართული ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილი არ არის და „ალბანური ძეგლია“. ეს არის უსინდისო ტყუილი და ოკუპაციის მცდელობა. ნავთობის და ფულის გულისთვის პროსტიტუცია არ შეიძლება.

ყველა ის ქართველი, ვინც ყიზილბაშებს დავით გარეჯს დაუთმობს, არის სამშობლოს გამყიდველი მოღალატე და მე იმედი მაქვს, რომ ასეთი არც ერთი არ იქნება; რა თქმა უნდა, ჩვენ მშვიდობიანად და არაძალადობრივად ვმოქმედებთ და არ გვწადია სამხედრო კონფლიქტი, მაგრამ, ალიევის ავტორიტარულ რეჟიმს ერთხელ და გადაწყვეტით უნდა ეთქვას, რომ გაანებოს ქართული ისტორიული მემკვიდრეობის მიტაცებას თავი!

დავით გარეჯის ოკუპაცია არის ბარბაროსული აქტი! ჩვენ, ყველანი მზად ვართ, ჩავიდეთ და დავიცვათ ჩვენი ეროვნული თვითშეგნების სიმბოლო, დავით გარეჯის მონასტერი, რომლის გამოც დაიწყო ეროვნული მოძრაობა!

თუ ხელისუფლება ამ პრობლემას არ მოაგვარებს ამ კვირაშივე, მაშინ ხალხი თვითონ დაიწყებს ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრს. ალბანურ კულტურას და სპარსულ კულტურას ჩვენ დიდ პატივს ვცემთ. აგრეთვე, ტოლერანტულად ვუყურებთ ყიზილბაშების შთამომავლების ცხოვრებას საქართველოში, მაგრამ ამ მოთმინებას თავისი ბოლო აქვს.

დღეს, მსოფლიო წესრიგი იცვლება და აუცილებელია, რომ ქრისტიანულმა ცივილიზაციამ თავისი ადგილი შეინარჩუნოს მსოფლიოში. ამიტომაც, ჩვენ ვითხოვთ პატივისცემას!

დააბრუნეთ დავით გარეჯის მონასტრის კომპლექსი მთლიანად, რაც შეიძლება მალე, თქვენ ცეცხლს ეთამაშებით! ქართველებს ყიზილბაშების არ გვეშინია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქართველი გყავთ გაჟლეტილი ისტორიის მანძილზე. მაგრამ თუ ეს ასე გაგრძელდება, „ბახტრიონი“ აუცილებლად მოხდება!

დააბრუნეთ დავით გარეჯი, ყიზილბაშებო! ჩვენ ბევრი კარგი გაჩვენეთ, იმსახურებდით თუ არა, მაგრამ ახლა უკვე მოთმინების ზღვარს უახლოვდებით! თუ არ დააბრუნებთ, ჩვენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით დავირაზმებით ჩვენი ისტორიის დასაცავად!



# დავით მალაზონია სცენას უბრუნდება



ეთნო ჯაზ ჯგუფ „ირიაოს“ ხელმძღვანელი და დამაარსებელი დავით მალაზონია სცენას უბრუნდება.

ნოემბერში მომხდარი ავარიის შემდეგ ხელოვანის მდგომარეობა მძიმე იყო. საბედნიეროდ, ის გამოჯანმრთელდა და ავარიის შემდეგ პირველად ახალი ძალებით, ეთნო ჯაზის უბადლო შემსრულებელი ჯგუფი თავის ხელმძღვანელთან ერთად მონატრებულ მსმენელს შეხვდება.

კონცერტი 3 მაისს „ულრან ტყეში“ გაიმართება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 25 ლარად შეეძლება.

# „ბლექ აიდ ფისი“ საქართველოში კონცერტს გამართავს



„ჩექ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში შეკვეთილში მდებარე საკონცერტო დარბაზი „ბლექ სი არენა“ 2019 წლის სეზონს 16 ივნისს გახსნის. სეზონის გახსნაზე მსმენელის წინაშე წარდგება ცნობილი ჯგუფი „ბლექ აიდ ფისი“.

ამერიკული მუსიკალური ბენდი საქართველოს ბოლო ალბომის მხარდამჭერი ტურნეს ფარგლებში ეწვევა. ჯგუფი მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს და მას მთლიანობაში 76 მილიონი ჩანაწერი აქვს გაყიდული.

ბლექ სი არენაზე დაგეგმილ კონცერტზე დასასწრები ბილეთების შეძენა უკვე დაიწყო და მისი ფასი 50-250 ლარია.

# ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ იწყება

4 მაისიდან ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ უკვე მე-16-ედ გაიმართება და ის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მიეძღვნება.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი მომღერალი იანო ალიბეგაშვილი და საპატიო სამხატვრო მრჩეველი, გამოჩენილი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია ორგანიზატორებთან ერთად საზოგადოებას აკადემიური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს სთავაზობენ და პროექტების განსახორციელებლად იწვევენ მსოფლიოს პროფესიული სცენების თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

ფესტივალი ტრადიციულად აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში დაიწყება, 40 დღე გაგრძელდება და ამაღლების დღესასწაულზე დასრულდება. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მასშტაბურობა და მრავალფეროვანი შინაარსი.

საფესტივალო საღამოები თბილისის გარდა ჩატარდება რეგიონებში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში. წელს ფესტივალის პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც უცხოელი, ასევე ქართველი შემსრულებლები: ცნობილი ტენორი ჯუზეპე ჯიპალი, დირიჟორი ატილიო ტომაზელო, იანო ალიბეგაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ცნობილი საგუნდო კოლექტივები, ორკესტრები. ფესტივალის ფარგლებში აღინიშნება ცნობილი ქართველი კომპოზიტორების იოსებ კეჭაყმაძის და ალექსანდრე შავერზაშვილის საიუბილეო თარიღები. მრავალფეროვან პროგრამაშია აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული გამოფენები, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, „ჩრდილების თეატრის“ დადგმა...

ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ 6 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

# ნანი ბრეგვაძე საკრუიზო გემზე იმღერებს

მომღერალი ნანი ბრეგვაძე საკრუიზო გემზე იმღერებს. 3 მაისს პარიზში ქართული კულტურისა და გასტრონომიის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი ღონისძიება და საქველმოქმედო გალა ვახშამი მოეწყობა.

– ერთად შევუწყოთ ხელი ქართული კულტურის პოპულარიზაციას და დავეხმაროთ მათ, ვისაც ჩვენი თანადგომა ნამდვილად სჭირდება! – ასეთია საღამოს ორგანიზატორთა მიერ დაინტერესებული საზოგადოებისთვის შეთავაზებული დევიზი.

ვახშამს მდინარე სენაზე, საკრუიზო გემზე ქართველი შეფები წარადგენენ. წვეულების განსაკუთრებული სტუმარი, ქართველი მომღერალი ნანი ბრეგვაძე იქნება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები ეკა მამალაძე, სტეფანე მღებრიშვილი, მიშო სულუხია, აჩიკო ბერიძე, ნათია თოდუა და პაატა ანდრიაძის ბენდი.

საქველმოქმედოა ღონისძიებაზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის ნაწილი სრულად მოხმარდებათ მზრუნველობამოკლებულ ბავშვების სწავლის დაფინანსებას.

ამ ეტაპისთვის საქველმოქმედო ვახშამზე დასასწრებად მხოლოდ 160 ევროიანი ბილეთებია დარჩენილი.




# ქართველი პოეტის შოთა იათაშვილის ლექსები ჩე გევარას ვაჟმა თარგმნა

ცნობილი რევოლუციონერის ერნესტო ჩე გევარას ვაჟმა ომარ პერესმა ქართველი პოეტის შოთა იათაშვილის ლექსები ესპანურად თარგმნა.

ომარ პერესი პოეტი, მთარგმნელი, არტისტი და მუსიკოსია. ის 25 წლის იყო, როცა გაიგო, რომ მამამისი ჩე გევარა იყო.

ინფორმაცია ამის შესახებ შოთა იათაშვილმა თავად გაავრცელა:

– ჩემი ლექსები ესპანურად ჩე გევარას ვაჟმა თარგმნა. ჰო, არ ვხუმრობ. ამას წინათ კოლუმბიაში, მედელინში, პოეტურ ფესტივალზე დამპატიჟეს. ცხადია, ლექსებიც მომთხოვეს სათარგმნად. გავუგზავნე.



დღეს მომივიდა წერილი და ნათარგმნი ტექსტები. კუბელმა პოეტმა ომარ პერესმა თარგმნაო. ცხადია, ყოველთვის გაინტერესებს, ვინაა ის ადამიანი, ვისაც შენი ნაფიქრი სხვა ენაზე გადააქვს. დავგუგლე და მოკლედ, აი, ეგეთი კაცი აღმოჩნდა: პოეტი, მუსიკოსი, არტისტი, ძენ-ბუდისტი. 25 წლის ასაკში გაუგია, ჩე გევარასგან რომ გაუჩენია დედამისს.

მოკლედ, სულ ვგრძნობდი, რომ რაღაც იყო ჩემში რევოლუციური!

# მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ზაგრებში გამარჯვება მოიპოვა

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა ხორვატიის ქალაქ ზაგრებში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვა.

24-28 აპრილის ჩათვლით ზაგრებში ბავშვთა პროფესიული თეატრების საუკეთესო სპექტაკლების მე-19 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გაიმართა.

თეატრალურ ფესტივალზე ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „რწყილი და ჭიანჭველა“, რომლის რეჟისორებიც დიმიტრი ხვთისიაშვილი და გია მარღანია არიან.

საერთაშორისო ჟიურიმ საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრემია მსახიობ ნიკოლოზ ნანიტაშვილს მიანიჭა.




**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თურქი მსახიობი ჩაგათაი ულუსოი ქართველი ბავშვების დასახმარებლად ჩამოდის



თურქი მსახიობი ჩაგათაი ულუსოი საქართველოში ბავშვების დასახმარებლად ჩამოდის.

მსახიობი საქართველოს ბერი ანდრიას სახელობის ფონდის მხარდასაჭერად და სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად გამართული საქველმოქმედო ვახშმისთვის ესტუმრება.

10 მაისს საქველმოქმედო ვახშამი რესტორან „ეთნო წისქვილში“ შედგება, სადაც გაიმართება კონცერტი ქართველი ცნობილი მომღერლების ლელა წურწუმიას, ანრი ჯოხაძის, ნინი ბადურაშვილის, ეკა კახიანისა და ქრისტინე იმედაძის მონაწილეობით. საღამოდან შემოსული თანხა ,ბერი ანდრიას სახელობის ფონდის ანგარიშზე გადაირიცხება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ტრამპმა ერდოღანს დაურეკა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის თურქ კოლეგას რეჯებ ერდოღანს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთის მიერ თურქეთისთვის სარაკეტო კომპლექსის მიწოდება იყო.

ამერიკელები ამის გამო თურქეთის პრეზიდენტს სასტიკად აკრიტიკებენ.

ერდოღანმა ტრამპს განუცხადა, რომ უნდა შეიქმნას თურქეთ-აშშ-ის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც თურქეთისთვის რუსული რაკეტების მიწოდების საკითხს შეისწავლის.

# პომპეო: „რუსეთი ჩვენს არჩევნებში მომავალშიც ჩაერევა!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ გააცხადა, რომ 2016 წლის ამერიკულ არჩევნებში რუსების ჩარევა დამტკიცდა. მართალია, პრეზიდენტი ტრამპი და მისი გუნდი რუსებთან დაკავშირებულნი არ ყოფილან, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

– უდავოა ისიც, რომ რუსეთი ჩვენს არჩევნებში მომავალშიც ჩაერევა! – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ მიიღებს ზომებს საიმისოდ, რომ რუსებს ჭკუა ასწავლოს.

# ლუკაშენკოს დაცვის ყოფილი უფროსი დააპატიმრეს



ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა პრეზიდენტ ლუკაშენკოს დაცვის ყოფილი უფროსი ვტიურინი დააკავა. მას დიდი ოდენობით ქრთამის აღება ბრალდება.

უკანასკნელ ხანს ვტიურინი ბელორუსის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ მუშაობდა.

# რიჩარდ ლუგარი გარდაიცვალა




ვირჯინიის სამედიცინო ცენტრში ცნობილი ამერიკელი მოღვაწე, სენატორი რიჩარდ ლუგარი გარდაიცვალა.

ის 87 წლის იყო.

ლუგარმა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ის ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების დახმარების მოთხოვნით აქტიურად გამოდიოდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ოთხი მილიონის მომგებ ბრიტანელებს მოგებულ ფულს არ აძლევენ



ლონდონში ორმა ბრიტანელმა ეროვნული ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა, რის შემდეგაც ოთხი დღე ზეიმობდნენ ამ წარმატებას, თუმცა მოგებული თანხა დღემდე არ მიუღიათ.

მარკ გუდრამმა და ჯონ-როს უოტსონმა ლატარიის ბილეთები გასულ კვირას შეიძინეს. მეგობრებმა ჯეკპოტი მოხსნეს. მათმა მოგებამ ოთხი მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. მათ, რა თქმა უნდა, მოგება გაუხარდათ და მისი აღნიშვნა ოთხდღიანი ქეიფით გადაწყვიტეს. თუმცა, ერთი კვირის თავზე აღმოაჩინეს, რომ მათთვის მოგებული თანხის მიცემას არ ჩქარობდნენ.

კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ეროვნული ლატარიის გათამაშებას კურირებენ, ეჭვი გამოთქვეს, რომ ბილეთები შესაძლოა მოპარული საბანკო ბარათითაა შეძენილი. ისინი ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, როდესაც გაირკვა, რომ არც გუდრამს და არც უოტსონს საკუთარი ანგარიში ბანკში არ გააჩნიათ.

როდესაც მათ ჰკითხეს, რომ ვის ეკუთვნოდა ბარათი, რომლითაც ლატარიის ბილეთები შეიძინეს, მათ უპასუხეს, რომ მათ ძველ მეგობარ ჯონს ეკუთვნოდა, რომელიც ჩრდილოეთში გაემგზავრა. ვერც გუდრამმა და ვერც უოტსონმა მისი ვერც გვარის და ვერც მისამართის დასახელება ვერ შეძლეს. შემდეგ მათ ჩვენება შეცვალეს და განაცხადეს, რომ ფული გამვლელს მისცეს და მათთვის ბილეთების ყიდვა სთხოვეს.

აღსანიშნავია, რომ წარსულში უმუშევარი მეგობრები უკვე რამდენჯერმე არიან ნასამართლევი ქურდობისთვის.

მიუხედავად ამისა, მეგობრები თვლიან, რომ მათ ეს მოგება დაიმსახურეს და დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მალევე მისცემენ მოგებულ ფულს. ისინი მის დახარჯვას მოგზაურობასა და გართობაში აპირებენ.

# მამაკაცმა ყოფილი ცოლის სათვალთვალოდ გვირაბი გათხარა და შიგნით გაიჭედა



მექსიკის სონორას შტატის ქალაქ პუერტო-პენიასკოში, ეჭვიანმა ქმარმა გვირაბი გათხარა თავისი ყოფილი მეუღლისთვის სათვალთვალოდ და შემდეგ შიგნით გაიჭედა.

58 წლის გრიზელდა სანტილიანმა პოლიციას აცნობა, რომ მისი სახლის ქვეშ მისი ყოფილი მეუღლე სეზარ არნოლდო გომესი იმალება. მისი თქმით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სახლის ქვევიდან საეჭვო ხმები გამოდიოდა და ფიქრობდა, რომ იქ კატები დარბოდნენ.

მაგრამ დროთა განმავლობაში ხმაური გაძლიერდა. მაშინ სანტილიანმა მეზობელთან ერთად ნაკვეთი დაათვალიერა და სახლის მახლობლად გამოთხრილი გვირაბი, რამდენიმე დანა და წყლიანი ბოთლი აღმოაჩინეს. შიგნით კი 50 წლის გომესი იმყოფებოდა, რომელიც დაახლოებით 24 საათის განმავლობაში იყო იქ გაჭედილი და დახმარებას ითხოვდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა 45 წუთი მოანდომეს მამაკაცის გვირაბიდან გამოყვანას. გომესს გაუწყლოვანება აწუხებდა და ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. სამედიცინო დაწესებულების დატოვების შემდეგ მამაკაცი სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო პატიმრობაში აიყვანეს. მას ყოფილ მეუღლესთან მიახლოვება აკრძალული ჰქონდა. სანტილიანის თქმით, ის ყოფილ მეუღლეს მისი გადამეტებული ეჭვიანობის გამო გაშორდა.

# სამი წლის გოგონამ ჩვილი ბავშვი გადაარჩინა



ამერიკის კალიფორნიის შტატში სამი წლის გოგონა, მშობლების დაღუპვის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ზრუნავდა ორი თვის ძმაზე.

ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებით, 18 აპრილს ბავშვების 46 წლის მამამ დევიდ კუროს პარსამ მოკლა მეუღლე მიჰოკო კოიკე და შემდეგ თავი მოიკლა.

სამი დღის შემდეგ პოლიციამ შეიარაღებული თავდასხმის შესახებ შეტყობინება მიიღო. შემთხვევის ადგილზე პოლიციელებმა დაღუპულების ცხედრები და ორი პატარა ბავშვი აღმოაჩინეს. მთელი ამ დროის მანძილზე სამი წლის გოგონა ზრუნავდა საკუთარ თავსა და ძმაზე.

– ჩვენმა პატარა ანგელოზმა ყველაფერს გაუძლო, თავადაც გადარჩა და თავის ძმასაც შეუნარჩუნა სიცოცხლე, – განაცხადა პოლიციელმა მორინ რაიანმა, – ჩვილი უბრალოდ სასწაულია, გოგონა კი ნამდვილი გმირი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორივე ბავშვი აბსოლუტურად ჯანმრთელია და ისინი ლოს-ანჯელესის ოლქის ბავშვებისა და ოჯახის საქმეთა დეპარტამენტის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**შეიისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.




# ლაშა დვალი: „საქართველოს ნაკრებს კვალიფიციური მწვრთნელი ჰყავს“

უნგრეთის ლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 3 ტურით ადრე ლაშა დვალის ფერენცვაროშმა ქვეყნის ჩემპიონობა გაინაღდა.

მიუხედავად ჰონვედთან (2:3) მარცხისა, ფერენცვაროშის უშუალო კონკურენტმა ვიდეოტონმა პუშკაშ აკადემია ვერ დაამარცხა და ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე მათ შორის სხვაობა 10 ქულაა.

დვალი 2019 წელს პირველი ლეგიონერია, ვინც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი უნგრეთში ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას პოლონეთიდან გადავიდა. მანამდე კი საბურთალოს შემადგენლობაში ირჯებოდა.

ქართველმა ფეხბურთელმა ფერენცვაროშის 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა, რაც მცველისთვის ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– გილოცავთ უნგრეთის ჩემპიონობას. როგორი იყო პირველი ემოციები?***

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის. მშვენიერი შეგრძნებაა, როდესაც გიფასდება ყოველდღიური შრომა. თავს არ ვზოგავ, ბევრს ვმუშაობ ჩემს თავზე. ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ.

***– როგორ აღნიშნეთ ჩემპიონობა?***

– მთელმა გუნდმა განსაკუთრებულად აღვნიშნეთ – ჯერ დიდი ზეიმი იყო მოედანზე, ჩვენს გულშემატკივრებთან, შემდეგ კი გასახდელში გაგრძელდა. ეს სიხარული ჩემს ცხოვრებაში ბოლომდე მემახსოვრება.

***– ბევრ მილოცვას მიიღებდით, მათ შორის საქართველოდანაც.***

– დიახ, ბევრი მილოცვა მივიღე, რაც ძალიან სასიამოვნოა. მადლობა ყველას ყურადღებისთვის, კეთილი სურვილებისთვის, გვერდში დგომისთვის.

***– ფერენცვაროშს ზამთრის სეზონიდან შეუერთდით. ახლანდელი გადასახედიდან ალბათ სწორი ნაბიჯი გადადგით.***

– როდესაც უნგრეთში მივდიოდი, მაშინაც ვფიქრობდი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ფერენცვაროში ქვეყნის ჩემპიონი გახდა და ახლა ეს ნაბიჯი ბევრად გამართლებულია.

***– შარშან, როდესაც პოგონის შემადგენლობაში თამაშობდით და შეკრებაზე იყავით, თურქეთში საბურთალოს ამხანაგურ მატჩში შეხვდით. მაშინ თქვით, გამიხარდება, თუ ჩემპიონთა ან ევროპის ლიგის მატჩებში საბურთალოს წინააღმდეგ ვითამაშებ. ახლა ფერენცვაროშიცა და საბურთალოც ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ, თუმცა შეხვედრით შესაძლოა მეორე ეტაპიდან დაუპირისპირდნენ. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ჩემთვის მშვენიერი გამოწვევა იქნება და ნამდვილად გამიხარდება, თუ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე საბურთალოს შევხვდები.

***– კლუბში თუ გეკითხებიან სავარაუდო მეტოქის შესახებ – ვინ გახდა საქართველოში ჩემპიონი?***

– ამ თემაზე უნგრელები ხშირად მეკითხებიან. აინტერესებთ, ვინ არის საქართველოს საუკეთესო გუნდი, ვინ რას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, საბურთალოს ქებით არ ვიღლები და ნამდვილად იმსახურებს კიდეც – მათ ეს დიდი შრომის შედეგად დაიმსახურეს.

***– საუბრის ბოლოს ნაკრებზეც გკითხავთ. რას იტყვით ბოლო 2 მატჩზე?***

– საკმაოდ ძლიერი ნაკრებების წინააღმდეგ მოგვიწია თამაში. შვეიცარიაცა და ირლანდიაც ჩამოყალიბებული ნაკრებებია. თუმცა, ჩვენც კვალიფიციური და ძლიერი მწვრთნელი გვყავს და მჯერა, დროთა განმავლობაში უკეთ წარმოვაჩენთ საკუთარ შესაძლებლობებს.

# დავით მუჯირი: „ახალი პარტნიორი სატესტო რეჟიმში მუშაობს“



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას 2019 წლიდან ახალი პარტნიორი ჰყავს. კომპანია „ინსტატ ლტდ“ სადღეისოდ საქართველოს კრისტალბეთ ეროვნული ლიგის მატჩების გადაღებასა და ინტერნეტში მაუწყებლობას უზრუნველყოფს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალ პარტნიორ კომპანიასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, „ინსტატ ლტდ“ რუსული კომპანიაა, რამაც გულშემატკივართა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს კომპანია ირლანდიურია და სწორედ ამ კომპანიამ შესთავაზა სფფ-ს ყველაზე სარფიანი წინადადება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, კომპანიის გადამღები ჯგუფები ქართულ მედიასივრცეში დასაქმებული ოპერატორებითა და შესაბამისი მომსახურე პერსონალით არის დაკომპლექტებული. თანამშრომლობის პირველი ეტაპი 6 თვეს მოიცავს, წარმატებული პარტნიორობის შემთხვევაში კი კონტრაქტი გაგრძელდება. სწორედ ამიტომ ინტერნეტში და ტელეკომპანია 02-ის პირდაპირ ეთერში მატჩები სატესტო რეჟიმში გადაიცემა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით, ეროვნული ლიგის მატჩები ინტერნეტში 2017 წლიდან გადაიცემა, 2019 წლიდან კი ახალ პარტნიორთან თანამშრომლობის დაწყების მთავარი მიზეზი, კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში, მნიშვნელოვანი დამატებითი მომსახურების შემოთავაზება გახდა.

კომპანია „ინსტატ ლტდ“ პირდაპირი ეთერის რეჟიმში ასევე უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიწოდებას. ამასთან, აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველწლიურად ჯამში 200.000 ლარამდე თანხის დაზოგვა ხდება, რომელიც სხვადასხვა პროექტს მოხმარდება.

ონლაინტრანსლირების პროექტი საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებისა და ფეხბურთის ფედერაციის ადგილობრივი სპონსორის მხარდაჭერით ფინანსდება. უახლოეს მომავალში, ფეხბურთის ფედერაცია ონლაინრეჟიმში სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს. დამატებით ინფორმაციას მოგვიანებით ჩვენი საკომუნიკაციო საშუალებებით გაგაცნობთ.

**დავით მუჯირი, სფფ-ს გენერალური მდივანი:**

– მინდა ვისაუბრო იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც დაინერგა 2019 წლის აპრილიდან ეროვნულ ლიგაში. უკვე მესამე წელია, რაც სფფ უზრუნველყოფს ეროვნული ლიგის ტურის ცენტრალური მატჩების პირდაპირ ტრანსლაციას. ამ მიმართულებით გვაქვს სიახლე და ფედერაციას ჰყავს ახალი პარტნიორი, ირლანდიური კომპანია „ინსტატ ლტდ“. ეს არის მსოფლიოში ცნობილი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მატჩების ტრანსლირებას და, ამავე დროს, გულშემატკივრებისთვის, მწვრთნელებისა და კლუბებისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას. სტატისტიკა არის როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური. ამ სტატისტიკის ინტეგრირება მოხდა ეროვნული ლიგის მატჩების ტრანსლაციებში. ამ კომპანიამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შესთავაზა ყველაზე სარფიანი წინადადება ჯერ რეპორტაჟების ტრანსლირებასთან, ხოლო დამატებით ამ სტატისტიკის ინტეგრირებასთან დაკავშირებით. კომპანიასთან გვაქვს 6-თვიანი ხელშეკრულება და ტრანსლაციები მიმდინარეობს სატესტო რეჟიმში. ამ შეთანხმებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაზოგავს 200.000 ლარს, ეს თანხა კი დაიხარჯება სხვა პროექტებში. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო განვითარდეს ქართული ფეხბურთი. წელს დაგეგმილი გვაქვს, რომ არა მარტო ეროვნული ლიგის და ეროვნული ლიგა 2-ის, არამედ ეროვნული ლიგა 3-ის და ეროვნული ლიგა 4-ის ცენტრალური მატჩების ტრანსლირებაც მოხდეს და ამ მხრივაც დავაკმაყოფილოთ გულშემატკივრის ინტერესი.

# მანჩესტერში წმენდა იგეგმება



მანჩესტერ იუნაიტედის სამიზნეთა სიაში პსჟ-ს თავდამსხმელი ედინსონ კავანი მოექცა. როგორც ბრიტანული პრესა იტყობინება, „წითლებს“ ძალიან სურთ ფორვარდის შეძენა.

იუნაიტედის ხელმძღვანელები ოლე გუნარ სოლსკიაერს სატრანსფერო ფანჯარაზე სოლიდურ თანხას გამოუყოფენ, თავად ნორვეგიელი კი ეცდება, რომ მაღალი დონის ფეხბურთელები დაიმატოს. როგორც გაირკვა, კავანი მისი სურვილების სიაში ერთ-ერთი პირველია.

ინტერესი უფრო და უფრო იზრდება იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ რომელუ ლუკაკუ, დიდი ალბათობით, კლუბს ზაფხულში დატოვებს. ჩელსისთან (1:1) გამართული მატჩის შემდეგ ბელგიელმა განაცხადა, რომ ჭორებს ყურადღებას არ აქცევს და ჯერ კიდევ იუნაიტედშია, მაგრამ სამომავლო გეგმებზე სიჩუმეს ინარჩუნებს.

როგორც ფრანგული პრესა იტყობინება, კავანისაც ძალიან უნდა პრემიერლიგაში თამაში და ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. ურუგვაელი დიდი ხანია ინტერესდება ინგლისში გადასვლით და, შესაბამისად, მანჩესტერ იუნაიტედის შემოთავაზებასაც განიხილავს.

საერთოდაც, ზაფხულში იუნაიტედში დიდი წმენდა იგეგმება. „წითელი ეშმაკები“ აქტიურად იმუშავებენ სატრანსფერო ბაზარზე, რათა მსოფლიო დონის ფეხბურთელები მიიზიდონ. ეს იქნება ნაბიჯი, რათა შეძლონ იბრძოლონ პრემიერლიგისა და საერთაშორისო ტიტულებისთვის.

თუმცა, აუცილებელია, კლუბმა გაუშვას ფეხბურთელები, რომლებსაც გუნდში მომავალი არ აქვთ.

ვნახოთ, ვის ემუქრება მანჩესტერის დატოვება:

2011 წელს, როცა ფილ ჯონსი ბლექბერნიდან იუნაიტედში გადავიდა, იმედოვნებდნენ, რომ ის გახდებოდა ნემანია ვიდიჩისა და რიო ფერდინანდის ღირსეული შემცვლელი, თუმცა ინგლისელმა იმედები ვერ გაამართლა. ის მუდმივი ტრავმების გამო ვერ ახერხებს სეზონის სტაბილურად ჩატარებას და სულ უფრო იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

ჯონსი 20 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

მატეო დარმიანი იუნაიტედმა ლუი ვან გაალის მწვრთნელობის პერიოდში 16 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. ჰოლანდიელი სპეციალისტი მასში დიდ პოტენციალს ხედავდა, ზოგიერთი გამოცემა მატეოს პლანეტის საუკეთესო მარჯვენა მცველადაც მოიხსენიებდა. ჟოზე მოურინიოს მოსვლის შემდეგ ის ძალიან იშვიათად გამოდიოდა მოედანზე, სოლსკიაერის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კი მხოლოდ ერთხელ მიიღო თამაშში მონაწილეობა. ის ვერ აკმაყოფილებს პრემიერლიგის დონეს, სავარაუდოდ, დარმიანი დაბრუნდება იტალიაში.

მარკოს როხოსგან იუნაიტედში გამორჩეულ თამაშს ელოდნენ. ის უნივერსალი მცველია, თუმცა მუდმივი ტრავმები და ცუდი ფიზიკური ფორმა არგენტინელს მაღალ დონეზე თამაშის საშუალებას არ აძლევს. მისი მოტყუება თითქმის არც ერთი თავდამსხმელისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, ამჟამად ის გუნდს ვერაფრით ეხმარება და მთელ დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. ეჭვგარეშეა, ამ ზაფხულს წითელი ეშმაკები მას ტრანსფერზე დააყენებენ.

ხუან მატა ჯერ კიდევ 2 სეზონის წინ მშვენიერ ფორმაში იყო, თუმცა ახლა ვერ აჩვენებს იმ დონეს, რის გამოც იუნაიტედის მთავარ მწვრთნელს მისი გუნდში დატოვების სურვილი ექნება. მისი რეგრესი ადვილი შესამჩნევია, თანაც ფეხბურთელმა უკვე 30 წელს გადააბიჯა. ხუანი, სავარაუდოდ, ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს კლუბს. მისდამი ინტერესს კი ბარსელონა იჩენს.

ალექსის სანჩესი მანჩესტერში გაცვლის შედეგად მოხვდა. მის ნაცვლად არსენალში ჰენრიხ მხითარიანი გადაბარგდა. ვერც ერთმა მწვრთნელმა, ვერც ჟოზე მოურინიომ და ვერც სოლსკიაერმა ვერ მოახერხეს ფეხბურთელის რეგრესის შეჩერება. სანჩესი დაუღალავად დარბოდა ბარსელონასა და არსენალის ფლანგზე და უდიდესი წვლილი შეჰქონდა გუნდების წარმატებაში. იუნაიტედში კი მისი მარგი ქმედების კოეფიციენტები ძალიან დაბალია და იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში.

ანტონიო ვალენსია თავის დროზე სერ ალექს ფერგიუსონმა შეიძინა, როგორც თავდამსხმელი, თუმცა დროთა განმავლობაში მარჯვენა მცველის პოზიციაზე გადაინაცვლა. ჟოზე მოურინიოს მწვრთნელობის პერიოდში კი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელი იყო გუნდში. მისი გამორჩეული სისწრაფე და ფიზიკური ფორმა საშუალებას აძლევდა, მთელ მარჯვენა ფლანგზე დაუღალავად ეთამაშა. მიუხედავად იმისა, რომ მისი არსენალი არც ისე მდიდარია, საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა გუნდის თამაშში.

სოლსკიაერის მისვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, ვალენსიას საკმაოდ დიდი ხანია არ ჩაუტარებია მატჩი. როგორც ჩანს, უკანასკნელმა ტრავმამ მის ფორმაზე დიდი გავლენა იქონია ან, უბრალოდ, ის არ შედის ახალი მწვრთნელის გეგმებში. თავის მხრივ, არც ფეხბურთელი გამოთქვამს გუნდში დარჩენის სურვილს. მისი კონტრაქტი მიმდინარე ზაფხულს იწურება და, დიდი ალბათობით, ის კლუბს დატოვებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**29 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ესპანიოლი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 25 | 8 | 2 | 86-32 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 35 | 22 | 8 | 5 | 52-23 | 74 |
| 3.რეალი | 35 | 20 | 5 | 10 | 59-39 | 65 |
| 4.ხეტაფე | 35 | 14 | 13 | 8 | 44-31 | 55 |
| 5.სევილია | 35 | 16 | 7 | 12 | 59-43 | 55 |
| 6.ვალენსია | 35 | 12 | 16 | 7 | 40-32 | 52 |
| 7.ბილბაო | 35 | 12 | 14 | 9 | 38-41 | 50 |
| 8.ალავესი | 35 | 12 | 11 | 12 | 36-45 | 47 |
| 9.სოსიედადი | 35 | 11 | 11 | 13 | 41-43 | 44 |
| 10.ესპანიოლი | 35 | 11 | 11 | 13 | 41-50 | 44 |
| 11.ბეტისი | 35 | 12 | 8 | 15 | 40-50 | 44 |
| 12.ეიბარი | 35 | 10 | 13 | 12 | 43-47 | 43 |
| 13.ლეგანესი | 35 | 10 | 12 | 13 | 33-39 | 42 |
| 14.ვილიარეალი | 35 | 9 | 13 | 13 | 44-47 | 40 |
| 15.სელტა | 35 | 9 | 10 | 16 | 48-57 | 37 |
| 16.ლევანტე | 35 | 9 | 10 | 16 | 51-62 | 37 |
| 17.ხირონა | 35 | 9 | 10 | 16 | 35-47 | 37 |
| 18.ვალიადოლიდი | 35 | 8 | 11 | 16 | 29-48 | 35 |
| 19.რაიო | 35 | 8 | 7 | 20 | 37-62 | 31 |
| 20.უესკა | 35 | 6 | 12 | 17 | 38-56 | 30 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-არმინია ...................... 2:2

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-უდინეზე ...................... 2:0

ფიორენტინა-სასუოლო ................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 28 | 4 | 2 | 68-24 | 88 |
| 2.ნაპოლი | 34 | 21 | 7 | 6 | 64-30 | 70 |
| 3.ინტერი | 34 | 18 | 8 | 8 | 52-28 | 62 |
| 4.ატალანტა | 34 | 17 | 8 | 9 | 68-42 | 59 |
| 5.რომა | 34 | 16 | 10 | 8 | 61-46 | 58 |
| 6.ტორინო | 34 | 14 | 14 | 6 | 44-29 | 56 |
| 7.მილანი | 34 | 15 | 11 | 8 | 47-33 | 56 |
| 8.ლაციო | 34 | 16 | 7 | 11 | 49-36 | 55 |
| 9.სამპდორია | 34 | 14 | 6 | 14 | 54-46 | 48 |
| 10.სასუოლო | 34 | 9 | 14 | 11 | 48-52 | 41 |
| 11.ფიორენტინა | 34 | 8 | 16 | 10 | 47-42 | 40 |
| 12.კალიარი | 34 | 10 | 10 | 14 | 32-47 | 40 |
| 13.სპალი | 34 | 10 | 9 | 15 | 35-48 | 39 |
| 14.ბოლონია | 34 | 9 | 10 | 15 | 37-48 | 37 |
| 15.პარმა | 34 | 9 | 10 | 15 | 35-52 | 37 |
| 16.ჯენოა | 34 | 8 | 11 | 15 | 36-53 | 35 |
| 17.უდინეზე | 34 | 8 | 9 | 17 | 31-49 | 33 |
| 18.ემპოლი | 34 | 7 | 8 | 19 | 43-66 | 29 |
| 19.ფროზინონე | 34 | 5 | 8 | 21 | 26-62 | 23 |
| 20.კიევო | 34 | 2 | 12 | 20 | 25-69 | 15 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-ოსერი ............................ 2:2

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ზვოლე-გრონინგენი ....................... 3:2

**თურქეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-არსენალი .................. 1:1

სპარტაკი-რუბინი ......................... 1:1

მალათია-ქაშიმფაშა ...................... 2:1

ქონია-გალათასარაის .................... 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

გურნიკი-სოსნოვეცი 4:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

არსენალი-დესნა ............................ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი .... 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-აიკი ......................... 3:0

გიოტებორგის მე-2 გოლი გიორგი ხარაიშვილმა გაიტანა

სუნდსვალდი-ფალკენბერგი .......... 3:1

იორებრო-კალმარი ....................... 1:1

ესტერსტუნდი-ჰელსინბორგი 3:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვალერენგა-ოდ გრელანდი ............ 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ინტერი-ჰიკი ................................. 4:1

ჰიფკი-ჰონკა ................................. 2:0

2019, 1 მაისი, №101

# სიტი სატრანსფერო რეკორდს ამზადებს

მანჩესტერ სიტი სატრანსფერო ბაზარზე საკლუბო რეკორდის დამყარებას შეეცდება. მართალია, პეპ გვარდიოლა მხოლოდ ლივერპულთან ჭიდილზე, პრემიერლიგისა და ასოციაციის თასის მოგებაზე ფიქრობს, თუმცა ხელმძღვანელებმა მას ზაფხულის მთავარი სამიზნე უკვე უპოვეს.



ქალაქელები მადრიდის ატლეტიკოს ნახევარმცველ როდრიგოს გადაბირებას შეეცდებიან და სანაცვლოდ 70 მილიონი ევროს გადახდაზეც არ დაიხევენ უკან.

ესპანეთის ვიცეჩემპიონმა 22 წლის ფეხბურთელი ვილიარეალიდან შარშან შეიძინა და 20 მილიონი ევრო გადაიხადა (პლუს 5 მილიონი ბონუსის სახით).

როდრიგომ მიმდინარე სეზონში როხიბლანკოს შემადგენლობაში 31 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. მას ხშირად ესპანეთის ნაკრებში სერხიო ბუსკეტსის შემცვლელადაც მოიაზრებენ.

ესპანეთის ნაკრების წევრით მხოლოდ სიტი როდი ინტერესდება – როდრიგოს დამატება ისეთ ევროპულ გრანდებს სურთ, როგორებიც პსჟ, მიუნხენის ბაიერნი და მანჩესტერ იუნაიტედი არიან.

სიტიმ ყველაზე დიდი თანხის სანაცვლოდ შარშან 2 ფეხბურთელი დაიმატა, ჯერ ემენიკ ლაპორტი ბილბაოდან (57 მილიონი), მერე კი რიად მაჰრეზი ლესტერიდან (60).

# ბრიტანეთის ტახტის მომავალი მემკვიდრის პორტრეტი შეადგინეს



დიდი ბრიტანეთის ბუკმეკერულმა კომპანიებმა დაიწყეს ფსონების მიღება პრინც ჰარისა და სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის მომავალი შვილის სახელზე, სქესსა და გარეგნობაზე.

ვარაუდობენ, რომ ბავშვი მაისის დასაწყისში დაიბადება. მისი სქესი და სახელი ჯერჯერობით უცნობია, რის გამოც ბუკმეკერები მათ გამოცნობას ცდილობენ და შესაბამის ფსონებსაც იღებენ.

ამ მომენტისთვის ყველაზე მოსალოდნელად გოგონას დაბადება ითვლება დიანას სახელითა და წითური თმით.

ამავე დროს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ წითურთმიანი ბავშვის დაბადების ალბათობა – 75 პროცენტს, ხოლო მისთვის სახელის დიანას დარქმევა 60 პროცენტს შეადგენს.

# მილანის საქმე ცუდად მიდის

მილანი, რომელიც რამდენი ტურის წინ ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელთა შორის ფავორიტად მოიაზრებოდა, ბოლო 7 ტურში მხოლოდ 1 მოიგო და ახლა ევროპის ლიგაც კი სანატრელი აქვს.



გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ იტალიის სერია ა-ს ბოლო ტურში ტორინოსთან (0:2) წაგების შემდეგ კომენტარი გააკეთა. მან გულშემატკივრებს გუნდის მთავარი პრობლემის შესახებ მიანიშნა.

**ჯენარო გატუზო:**

– ვფიქრობ, უიღბლო დღე გვქონდა. გუნდმა შემართებით ითამაშა. წაგება უბრალოდ შემთხვევაა. საქმე ისე არ წავიდა, როგორც გვსურდა. პრობლემები გვაქვს, მაგრამ ასეთ თამაშს არ ვისურვებდი. ტორინომ გვაიძულა, რომ ცუდად გვემოქმედა, თუმცა მომენტები გვქონდა. როდესაც ასეთ თერთმეტმეტრიანს გინიშნავენ, რთულია, არ დაკარგო საკუთარი თავის რწმენა. პრობლემები აქამდეც გვქონია, მაგრამ შედეგები კარგი იყო. ახლა რაღაც ისე ვერ არის. თამაშისგან ნაკლებ სიამოვნებას ვიღებთ, ვიდრე მაშინ, 2 თვის წინ, ასეთ დროს კი მეტი ძალისხმევის გაღება გიწევს. აღარ ვართ ისეთი შემართულები... უფრო მეტს ვფიქრობთ შედეგზე, რაც ენთუზიაზმისთვის ცუდია. აი, ამიტომ ვამბობ, რომ არ შემიძლია ფეხბურთელების თავებში შეღწევა. თუ სურათს მთლიანობაში გავაანალიზებთ, მაშინ, მილანი ბოლო წლებში საერთოდ არ იბრძოდა ოთხეულისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაცას სწორად ვაკეთებთ.

ტორინოსთან მარცხით მილანმა მე-6 ადგილი სწორედ ტურინულ გუნდს დაუთმო, რომელსაც გატანილი და გაშვებული ბურთების უკეთესი მაჩვენებელი აქვს.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# ციხის ზედამხედველი პატიმართან სექსისთვის გაასამართლეს

ციხის ზედამხედველი ემილი უოტსონი უკანონო ქმედების ჩადენისთვის გაასამართლეს. ქალი პატიმარ ჯონ მაკგისთან ციხის საკანში სექსით იყო დაკავებული. აღნიშნული შემთხვევა ამერიკის ილინოისის შტატში მოხდა. მას 12 თვით პატიმრობა მიესაჯა.



უოტსონის დამცველი ამტკიცებს, რომ ქალი საკუთარ საქციელს ნანობს და აღიარებს, რომ ასეთი ქმედება სრულიად მიუღებელია. გასამართლებული ციხის ზედამხედველის თქმით, საქმის სასამართლო განხილვამ მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება მოახდინა.

გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ უოტსონი საეჭვოდ დიდ დროს ატარებდა ავტოსაგზაო შემთხვევისთვის, რომლის შედეგადაც ფეხით მოსიარულე დაიღუპა, გასამართლებულ პატიმართან. გაირკვა, რომ ზედამხედველი პატიმართან სქესობრივი კავშირით სამი წელი იყო დაკავებული, ასევე მას ტელეფონზე უგზავნიდა საკუთარ ეროტიულ ფოტოსურათებს.

უოტსონმა მეორე ტელეფონი შეიძინა, რომლითაც ის პატიმართან ურთიერთობდა. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ისინი ტელეფონით ერთმანეთს 96-ჯერ დაუკავშირდნენ. ასევე ისინი ერთმანეთს ინსტაგრამის დახმარებითაც უკავშირდებოდნენ. პატიმარს ტელეფონი პლეისთეიშენის სათამაშო მოწყობილობაში ჰქონდა დამალული, რომელიც საკანში ედგა.

# ამერიკელმა ასეულობით მილიონი დოლარი მოიგო

ამერიკის ვისკონსინის შტატის მცხოვრები ლატარიის მოყვარული აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოგების მფლობელი გახდა.




24 მანუელ ფრანკომ ლატარია პოუვერბოლში 768 მილიონი დოლარი მოიგო. ეს თანხა მას შეეძლო, 29 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ მიეღო, მაგრამ გადაწყვიტა, მოგებული თანხის ნაწილი დაეთმო და გადასახადების გასტუმრების შემდეგ ის 477 მილიონ დოლარს ერთიანად მიიღებს.

ფრანკომ უარი განაცხადა, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია გაემხილა, მათ შორის, თუ რა შემოსავლით ცხოვრობს და რომელი მანქანით დადის. მას შემდეგ, რაც მოგების შესახებ შეიტყო, მას შიშები აწუხებს.

– რაღაც პარანოია მიპყრობს, როდესაც ფიქრობ, რომ მთელი სამყარო შენზე ნადირობს, – ამტკიცებს ფრანკო, – ყოველდღე მეჩვენებოდა, რომ ვიღაც დამდევდა და მითვალთვალებდა. რთულია, როდესაც გაქვს ბილეთი, რომელიც ყველას უნდა.

ის აპირებს, ყველა უარით გაისტუმროს, ვინც კი მას ფულის თხოვნით მიადგება, თუმცა, ამავე დროს, აცხადებს, რომ არ გამორიცხავს, თანხის ნაწილი ქველმოქმედებას მოახმაროს.

# ძაღლს ცხვირიდან ათსანტიმეტრიანი ჯოხი გამოუღეს

ხორვატიაში ძაღლს ცხვირში ხის ჯოხი გაეჭედა, რომლის სიგრძე 10 სანტიმეტრს აღწევდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.



ბელგიური ნაგაზი, სახელად თორი, მოულოდნელად წაიქცა. პატრონს ამისთვის მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ცხოველს ცხვირის ცემინება დაეწყო და ნესტოდან სისხლი წამოუვიდა.

ძაღლი ვეტერინართან მიიყვანეს, რომელმაც ნესტოს სიღრმეში უცხო სხეული აღმოაჩინა. ცხვირიდან ხის ნაჭრის გამოსაღებად ექიმს სპეციალური მოწყობილობების გამოყენება დასჭირდა. სავარაუდოდ, ის ცხოველის ცხვირში იმ დროს მოხვდა, როდესაც თორი მიწაზე დაეცა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 1 მაისისთვის



**ვერძი** – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. კეთილისმყოფელი დღეა, შესაფერისი კომერციული საქმიანობისათვის. **კურო** – საქმეებს სწრაფად და მარტივად მოაგვარებთ. კოლექტიური მუშაობა გაამართლებს. **ტყუპები** – ახალი ნაცნობობა ხელსაყრელი იქნება. შემოქმედებითი აღმაფრენა გეწვევათ. **კირჩხიბი** – დასახული მიზნის მიღწევაში ხელი არ შეგეშლებათ. გარს საიმედო პარტნიორები შემოიკრიბეთ. **ლომი** – ნებისმიერი ინიციატივა წარმატებით დაგვირგვინდება. დიდი ხნის ოცნება გისრულდებათ. **ქალწული** – პრინციპულობა გამოიჩინეთ. უკან ნუ დაიხევთ. საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** – პასიური დღეა. ამბიციურობა და სიჯიუტე ხეირს არ დაგაყრით. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია. ახალგაცნობილი ადამიანი სასიხარულო ინფორმაციას მოგაწვდით. **თხის რქა** – ახლობლებთან ურთიერთობა სავსებით ჰარმონიულია. კოლექტიური მუშაობისათვის კარგი დღეა. **მერწყული** – ნუ იქნებით ზედაპირული. ერიდეთ ხალხმრავლობას, ხმაურიან ადგილებს. **თევზები** – პარტნიორებთან ფინანსური კუთხით წარმოქმნილ უთანხმოებას წერტილი დაესმება. ნუ ეცდებით, ადამიანებს ჭკუა დაარიგოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი ბიზანტიის დედოფალი; 3. მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 4. მადრიდის „რეალის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ბნელი, უმთვარო ღამე; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. რთული დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 15. გემოს შეგრძნების უნარის დარღვევა; 17. ქართული ტელეკომპანია; 20. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად.

**თარაზულად:** 5. მდინარე ვაშინგტონში; 6. გურიასა და აჭარაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 8. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 10. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. სამშობიარო სახლი ძველად საქართველოში; 16. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 18. შოკოლადის ხე; 19. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 21. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 22. გულის მუშაობის ერთ-ერთი ფაზა, მოდუნება; 23. დაბადების მოწმობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყარაუნი; 2. ბადაგონი; 3. იამაჰა; 4. ფსოვი; 5. ჰანიბალი; 8. ბახთიარი; 12. ლასო; 13. დულცინეა; 14. სტიგმა; 16. ვივალდი; 18. მარკა; 20. ოშკი.

**თარაზულად:** 6. ვალენსია; 7. არაბესკა; 8. ბაწარა; 9. ჯუნტა; 10. პოტომაკი; 11. წყალბადი; 15. გუვერნანტი; 17. კოდაკი; 19. მიკოლოგია; 21. ანაფორა; 22. ბაქშტაინი; 23. მიტარბი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დედვეიტი; 2. გალუა; 3. გრუნდიგი; 4. ქოქოსი; 7. ხიხვი; 9. ძიუდო; 12. უსახელაური; 14. ჩაქურა; 15. ტრაპერი; 17. თაფლუჭი; 20. დიორი.

**თარაზულად:** 5. რეფერატი; 6. ბორჩალო; 8. ოპუნცია; 10. სუვენირი; 11. სტატია; 13. ადიდასი; 16. კობაიაში; 18. კამეა; 19. ვალსი; 21. ფიორდი; 22. არმატურა; 23. ჭანჭური.

# ქალი მეგობარ მამაკაცს დაეხმარა და გამდიდრდა




ამერიკის კონექტიკუტის შტატში ქალმა ლატარიაში ათი ათასი დოლარი იმ დროს მოიგო, როდესაც მეგობარ მამაკაცს პურის დარიგებაში ეხმარებოდა.

სტეფანი ბაზბის თქმით, ის იანვარში სამსახურიდან გაანთავისუფლეს. ამის გამო მას საქმე არაფერი ჰქონდა და გასულ კვირას გადაწყვიტა, თავის მეგობარ მამაკაცს პურის ადგილზე მიტანასა და დარიგებაში დახმარებოდა. ერთ-ერთი გაჩერების დროს სტეფანიმ ლატარიის ბილეთი შეიძინა და აღმოაჩინა, რომ 100 დოლარი ჰქონდა მოგებული.

გახარებულმა ქალმა გადაწყვიტა მოგება გაეზარდა და შემდეგ გაჩერებაზე კიდევ ერთი ბილეთი შეიძინა. როდესაც სტეფანიმ ბილეთი სპეციალურ ავტომატში დაასკანერა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა – მისმა მოგებამ ათი ათასი დოლარი შეადგინა.

მისი თქმით, ეს ბილეთები მის ცხოვრებაში წარმატებული დროის დასაწყისად იქცა.

– ამ მოგების წყალობით მოვახერხებ რამდენიმე თვის გადასახადების წინასწარ გადახდას და კიდევ, ახლახანს ახალი სამსახური შემომთავაზეს, – განაცხადა სტეფანიმ.

# ერთგული ძაღლი დაღუპულ თანამოძმეს არ შორდებოდა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში შენიშნეს ძაღლი, რომელიც დაღუპული თანამოძმის გვამს გვერდიდან არ შორდებოდა. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო, ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ღია შეფერილობის ძაღლი გზაზე გადარბოდა, რა დროსაც მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. ვიდეორგოლის კადრებში ჩანს თუ როგორ დგას დაღუპულის გვერდით შავ-თეთრი ფერის ძაღლი.

ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების თქმით, ცხოველი გამვლელებს ყეფით აშორებდა თავის თანამოძმეს.

– როგორც კი ახლოს მივდიოდით, მეორე ძაღლი ცდილობდა ჩვენთვის ეკბინა, – იხსენებს თვითმხილველი.



# ალიგატორმა ხალხის თვალწინ გველი დაგლიჯა

აშშ-ში ალიგატორი გველს გოლფში პროფესიონალური ტურნირის დროს დაესხა თავს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტვიტერში საკუთარ გვერდზე ტურნირის ორგანიზატორმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი ლუიზიანის შტატის ჯეფერსონის ოლქის გოლფკლუბში მოხდა.

– გველის ალიგატორთან შეხვედრა... ახალ ორლეანში ბუნება შიშისმომგვრელად გამოიყურება, – წერია ვიდეორგოლის კომენტარში.

კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოდის წყალსატევიდან ალიგატორი და სწრაფად მიემართება ბალახზე გაწოლილი გველისკენ. ქვეწარმავალი შეეცადა, მეტოქეს გაჰქცეოდა, მაგრამ ალიგატორმა ის დაიჭირა და წყლისკენ წაათრია.

ექსპერტების მონაცემებით, ბოლო დროს ლუიზიანის შტატში ალიგატორების განსაკუთრებული გააქტიურება შეინიშნება, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, მათი შეწყვილების პერიოდია.

# მე-12 სართულიდან გადმოვარდნილი გოგონა ცოცხალი გადარჩა

ინდოეთის გუჯარათის შტატში 13 წლის გოგონა სახლის მე-12 სართულიდან გადმოვარდა და ცოცხალი გადარჩა.



ინციდენტი ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში მოხდა, თუმცა ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. ხეტალ საროლი აივნის მოაჯირზე გადაეყუდა, რათა ქუჩაში მიმავალი სკოლის მეგობრები კარგად დაენახა, მაგრამ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა. გადმოვარდნის შემდეგ ის მოტოციკლების სადგომი ფარდულის სახურავზე დაეცა.

თვითმხილველებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო, რომელმაც გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანა. მიუხედავად ხელის ორმაგი, მკერდის ძვლების მოტეხილობის, ასევე მუცლის, თავისა და ფეხების დაზიანებისა, ექიმებმა მისი გადარჩენა მოახერხეს. მათ საროლის გადარჩენას სასწაული უწოდეს, ისევე, როგორც იმ ფაქტს, რომ მისი მთავარი სასიცოცხლო ორგანოები – ტვინი, გული, თირკმლები და ღვიძლი არ დაზიანებულა. გოგონა დღემდე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში რჩება. მისი მდგომარეობა სტაბილურია. მას მრავალი ოპერაციის გადატანა მოუწევს.

# პენსიონერმა პატარა ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა



ჩინეთში ხანშიშესულმა მამაკაცმა აუზში დახრჩობას შვიდი წლის ბიჭი გადაარჩინა და ამ საქციელმა ის გმირად აქცია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ლიაონინის პროვინციაში მოხდა. ვიდეორგოლის კადრებში ჩანს, თუ როგორ ჩადის საფეხურებით ბიჭი წყალში და შემდეგ იხრჩობა. 63 წლის მამაკაცი, რომელიც იმ მომენტში სხეულს პირსახოცით იმშრალებდა, მაშინვე აუზში გადახტა. ამის შემდეგ მან ბავშვი ხელში აიყვანა და აუზთან დედას გადასცა.

პენსიონერი პროფესიონალი მოცურავე და ყოფილი მწვრთნელი აღმოჩნდა. მისი თქმით, ის მაშინვე მიხვდა, რომ ბავშვი საფრთხეში იყო.

– მშობლისთვის რთული იყო სწრაფად რეაგირება. დედამისი ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა, – ამტკიცებს ბავშვის მხსნელი, – ის დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი, უბრალოდ, ერთობოდა.

ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ მრავალმა კომენტატორმა მამაკაცი შეაქო მისი საქციელისთვის და პენსიონერი გმირადაც კი გამოაცხადა.

# ნაკრძალიდან გამოქცეულმა სპილოებმა ორი ადამიანი მოკლეს



უგანდაში, აღმოსავლეთ აფრიკა, გარეული სპილოები დედოფალ ელისაბედის სახელობის ნაკრძალიდან გაიქცნენ და ორი ადამიანი მოკლეს.

გასული კვირის დასაწყისში რამდენიმე სპილომ ნაკრძალის ტერიტორია დატოვა და მახლობლად მდებარე სოფლების შემოგარენში დაძრწოდნენ. შუა კვირაში ისინი სოფლის 45 წლის მცხოვრებ იოფესი ბალუკუ კანანგას გადაეყარნენ. ცხოველები მამაკაცს თავს დაესხნენ, ოთხი ნეკნი ჩაუმტვრიეს და ძლიერად დაუზიანეს ელენთა. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმებმა მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და ელენთა ამოკვეთეს. ოპერაციის შემდეგ თავდაპირველად მამაკაცის მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო, თუმცა კანანგის უმცროსი ძმის თქმით, მეორე საღამოს მისი მდგომარეობა გაუარესდა და მალევე გარდაიცვალა.

კანანგის გარდა სპილოების მსხვერპლი გახდა 75 წლის ქალი, სახელად კეროლაინ ნაზივა. აგრესიული ცხოველი მის ფერმაში შეიჭრა და მის მფლობელს თავს დაესხა. ის იმავე დღეს ქალაქ კაგანდოს საავადმყოფოში მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა.

უგანდის ბუნების დაცვის სამმართველოს წარმომადგენლების თქმით, მათთვის არაფერი იყო ცნობილი ამ შემთხვევის შესახებ და მათ ამ საქმის გამოძიება მოუწევთ.

# მამაკაცმა ნიანგებით სავსე ტბა გადაცურა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა



აფრიკაში მამაკაცმა მსოფლიოში სიდიდით მეცხრე ადგილზე მყოფი ტბა გადაცურა და ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

45 წლის მარტინ ჰობსი 54 დღის განმავლობაში ტბა ნიასაში, რომელშიც უამრავი ნიანგი, ბეჰემოთი და სახიფათო მწერი ბინადრობს, დღეში 11 კილომეტრს ცურავდა. ტბა სამი სახელმწიფოს – მალავის, მოზამბიკისა და ტანზანიის ტერიტორიაზე მდებარეობს.

სამხრეთაფრიკელი მოცურავე პირველი ადამიანია ისტორიაში, რომელმაც ტბა მთლიანად გადაცურა. მისი თქმით, მან და მისმა გუნდმა გადაცურვის დროს ქარბორბალა გადაიტანეს, რომლის გამოც მაღალი ტალღები წარმოიქმნა, ასევე მას ნიანგების დანახვაზე ტანში სცრიდა.

– ყოველთვის მინდოდა, რაიმე ამის მსგავსი გამეკეთებინა, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი, – განაცხადა ჰობსმა, – სასიამოვნოა, როდესაც ისეთ რამეს გააკეთებ, რომლის გამოც გაგიხსენებენ.

ის მსოფლიო რეკორდსმენი ორ კატეგორიაში გახდა – ყველაზე ხანგრძლივი მარტოდმარტო გაცურვა ტბაში და პირველი ადამიანი, რომელმაც ნიასა გადაცურა.

# ექიმი პაციენტს ეჩხუბა და ნეკნი ჩაუმტვრია

ჩინეთის ქალაქ შანხაიში ექიმი ჩჟაო სიაოცზინი მუშტებით თავს დაესხა

60 წლის მამაკაცს და ნეკნი ჩაუმტვრია.

გამოძიების მონაცემებით, ჩხუბი იმის გამო დაიწყო, რომ დაშავებული შეეცადა, ურიგოდ წასულიყო და დაუკითხავად შევიდა ექიმის კაბინეტში. ჩჟაომ მას კაბინეტის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ მან ამაზე უარი უთხრა. მამაკაცებს შორის კამათი ხელჩართულ ჩხუბ-



ში გადაიზარდა. შედეგად 60 წლის მამაკაცი ნეკნის მოტეხილობით საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმმა კი რამდენიმე მსუბუქი დაზიანება მიიღო, შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მას ხელბორკილები დაადეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რიგში მომლოდინეთა უმეტესობამ პოლიციელები ზედმეტი სისასტიკისთვის გააკრიტიკა და დაიჩივლეს, რომ ექიმ ჩჟაოსთან მიღებაზე გარეუბნებიდან იყვნენ ჩამოსულები და ახლა სახლში სამედიცინო შემოწმების გაუვლელად მოუწევდათ დაბრუნება.

საბოლოოდ ექიმი 20 წუთის შემდეგ გაანთავისუფლეს, ხოლო რაიონის პოლიციის უფროსმა ტანციაომ მისი თანამშრომლების მუშაობის გაუმჯობესების პირობა დადო.

# ნარკოდილერის დახმარებისთვის თუთიყუში დააპატიმრეს

ბრაზილიაში პოლიციელებმა ნარკოდილერის მის საქმიანობაში დახმარებისთვის თუთიყუში დააპატიმრეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

რამდენიმე დღის წინ მოთეთრო-მწვანე ფერის ფრინველმა კინაღამ პოლიციის სპეცოპერაცია ჩაშალა. სამართალდამცავებს ნარკოდილერის ფაქტზე დაჭერა სურდათ. როგორც კი მის სახლთან პოლიციის მანქანა გამოჩნდა, თუთიყუში აყვირდა: „დედა, პოლიცია!“

ორმა ნარკოტიკებით მოვაჭრემ, ქალმა და მამაკაცმა, გაქცევა ცადა, მაგრამ ისინი მაინც დაიჭირეს. სახლში ჩხრეკის დროს პოლიციელებმა იპოვეს მარიხუანა, კრეკი და მსხვილი თანხა.

პოლიციელებმა ნარკომოვაჭრეები და თუთიყუში პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მათი მტკიცებით, დაპატიმრების შემდეგ ჩიტს ნისკარტიც კი არ გაუღია. გამომძიებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუთიყუშს პოლიციის მანქანაზე რეაგირება ასწავლეს.

ფრინველი ადგილობრივ ზოოპარკს გადაეცა, სადაც მას ფრენას ასწავლიან, შემდეგ კი ბუნებაში გაუშვებენ.

# ქურდი საკვამურში გაიჭედა და ატირდა

ამერიკის ოკლაჰომის შტატის ქალაქ ტალსაში მძარცველი შეეცადა, ავტოსერვისის შენობაში საკვამურიდან შეეღწია, მაგრამ გაიჭედა.

ინციდენტი 22 აპრილს მოხდა. მამაკაცმა კონდიციონერის მავთულები გადაჭრა და შეეცადა, ავტოსერვისის შენობაში მილიდან შეეღწია, მაგრამ შიგ გაძრომა ვერ შეძლო.

სერვისის თანამშრომელ ევა სიგალის თქმით, ბოროტმოქმედი მისმა ხელმძღვანელმა აღმოაჩინა.

– მან ტირილი და ყვირილი გაიგონა, რომელიც ღუმლიდან გამოდიოდა და იფიქრა, რომ შიგნით მტრედები იყვნენ, რომლებიც იქ ხშირად ძვრებიან, მაგრამ, როდესაც ახლოს მივიდა, გაიგონა ძახილი: „მიშველეთ“ და პოლიცია გამოიძახა, – განაცხადა ევამ.



შემთხვევის ადგილზე პოლიციელებთან ერთად მაშველებიც მივიდნენ. მამაკაცი საკვამურის მილიდან მათ ამოიყვანეს. ის, მართალია, არ დაშავებულა, თუმცა ძალიან იყო შეშინებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7007

ევრო — 3.0067

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.478

100 რუსული რუბლი — 4.1654

## ამინდის პროგნოზი 1 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**23 აპრილიდან**



კარლო კოლოდი

**პინოკიოს თავგადასავალი**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

**16 აპრილიდან**



მარკ ტვენი

**პრინცი და მათხოვარი**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



**12 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**19 აპრილიდან**



ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



**3 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**10 მაისიდან**



ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## იუმორი

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, თუ ბავშვობაში არც კომპიუტერი გქონდა და არც ინტერნეტი, მაშინ რა გქონდა?

– ბავშვობა მქონდა, შვილო, ბავშვობა!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ ის გოგონა არ ხართ, წუხელის ბარში მაგიდაზე საცვლების ამარა რომ ცეკვავდით?

– ჰოო, როგორც ჩანს, ძალიან ადრე წამოსულხართ ბარიდან!

•••

მძიმედ ავადმყოფმა მამამ შვილს თავისთან უხმო და ეუბნება:

– შვილო, ცოლის მოყვანას თუ აპირებ, ქალაქელი გოგო მოიყვანე...

– რატო, მამი?

– მაგათ შვილი სამ თვეში უჩნდებათ და იქნებ შვილიშვილს მოვესწრო...

•••

თბილისში ჩასული ქუთაისელი ერთ მეგობარს ესტუმრა. მგზავრობაში მოშიებულს მასპინძელი ყავით გაუმასპინძლდა. იქიდან წამოსულმა მეორე მეგობარს შეუარა. იქაც ყავა დაალევინეს. ესტუმრა მესამეს. იქაც ყავით გაუმასპინძლდნენ. მეოთხე მეგობართან მისულს, მასპინძელი ეკითხება:

– ცხელ ყავას დალევ თუ ცივს?

– ცხელი იყოს, ოღონდ შიგნით ერთი ცალი კარტოფილი ჩამიგდეთ...

•••

ავტობუსში ასულ მამაკაცს მძღოლი ეუბნება:

– უკან გადაიწიეთ.

კაცმა ორი ნაბიჯით გადაიწია.

ცოტა ხანში მძღოლი ისევ აყვირდა:

– უკან გადაიწიეთ!

კაცმა რამდენიმე ნაბიჯით ისევ გადაიწია, მაგრამ მძღოლი არ ჩერდება:

– უკან გადაიწიეთ!

– რა გაყვირებს, შე კაცო, ფეხით სიარული რომ მდომებოდა ამ ავტობუსში კი არ ამოვიდოდი! – ველარ მოითმინა კაცმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეიმარმა 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო



პსჟ-ს ბრაზილიელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა რენთან მარცხის შემდეგ ამ გუნდის გულშემატკივარს თავში ხელი წამოარტყა და პოლიცია რომ არ ჩარეულიყო, მასთან ჩხუბსაც დაიწყებდა.

ეს ინციდენტი საფრანგეთის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა და ნეიმარს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიმარს ჩემპიონთა ლიგაშიც აქვს დისკვალიფიკაცია მიღებული, ამიტომ მომავალი სეზონის დასაწყისს ის გამოტოვებს.

## ბეილი ზიდანმა სახალხოდ გააკრიტიკა



სავარაუდოდ, უელსელ ვინგერ გარეტ ბეილს რეალში აღარ დაედგომება და ზაფხულში ის გუნდს დატოვებს. ბეილს აქამდეც ჰქონდა პრობლემები, მაგრამ ბოლო პერიოდში ის მოედანზე სულ უფრო და უფრო უარესად თამაშობს და უკვე ზიდანმა ხმამაღლა გააკრიტიკა.

ზიდანის თქმით, ბეილმა უკეთ იცის, თუ რატომ არ გამოსდის მას კარგი თამაში მოედანზე და რატომ ვერ უგებს ის თანაგუნდელებს. ამ განცხადების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ზიდანს ბეილის გუნდში დატოვება არ სურს და უელსელი ზაფხულში სხვა კლუბში გადავა.

## გიორგი ჩაკვეტაძეს ოპერაცია დასჭირდება



ბელგიური გენკის ქართველ ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეს ოპერაცია დასჭირდება, რადგან მას მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული და ქირურგიული ჩარევის გარეშე არაფერი გამოვა.

ჩაკვეტაძემ ტრავმა დეკემბერში მიიღო და მოედანს მხოლოდ აპრილში დაუბრუნდა, თუმცა 21 აპრილს ანდერლეხტის წინააღმდეგ შეხვედრაში მან ტრავმა გაიმიზეზა და მას ხანგრძლივი რეაბილიტაციის გავლა მოუწევს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება მოედანზე ჩაკვეტაძე, თუმცა ცნობილია, რომ ის ნაკრების თამაშებს გამოტოვებს, რომლებიც ივნისში გაიმართება.

## იურგენ კლოპი: „ნოუ კამპზე თამაშის არ გვეშინია“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ბარსელონასთან მატჩის წინ განაცხადა, რომ ნოუ კამპი საფეხბურთო ტაძარი არ არის და ის უბრალოდ დიდი სტადიონია. კლოპის აზრით, მის ფეხბურთელებს არც ერთ სტადიონზე თამაშის არ ეშინიათ:

– ნოუ კამპი დიდი სტადიონია და არიან გუნდები, რომლებსაც იქ თამაშის ეშინიათ, თუმცა ჩვენ ამ გუნდების რიცხვს არ განვეკუთვნებით. ბარსელონის წინააღმდეგ ფავორიტი ვერ იქნები, მაგრამ ჩვენ სასურველ შედეგს უნდა მივაღწიოთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. მდინარე ბოლნისში; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 4. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 5. საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. ინდოელ ქალთა სამოსი; 13. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 14. ძველი საბუთების საცავი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 1. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. სასტუმრო თბილისში; 9. აეროპორტი პარიზში; 10. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 11. კოსმოდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების წარმოებაში გამოყენებული ჰერმეტული ტევადი რეზერვუარი; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 19. ესპანელი მხატვარი; 21. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

